ახალი განათლება

2014 წელი, 11-17 დეკემბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№38 (672) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ანონსი

5 დეკემბერს, მწერალთა სახლისა და UNICEF-ის ორგანიზებით, საჯარო დისკუსია გაიმართა, სახელწოდებით – „მწერლები უკეთესი განათლებისათვის".
საერთაშორისო საზოგადოება ბავშვის უფლებათა კონვენციის 25-ე წლისთავს აღნიშნავს, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ბავშვთა განათლება წარმოადგენს.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მწერალთა სახლში გამართულ დისკუსიაში მწერლები, გამომცემლები და მასწავლებლები მონაწილეობდნენ.
შეხვედრაზე განიხილეს განათლების სისტემაში არსებული პრობლემები. იმსჯელეს იმაზეც, თუ რა როლი ეკისრება ლიტერატურას, მწერლობასა და კონკრეტულ მწერლებს განათლების სექტორსა თუ სასწავლო პროცესში.
დისკუსიას უძღვებოდნენ მწერლები ანა კორძაია-სამადაშვილი და დიანა ანფიმიადი. სრულ მასალას შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

ინფორმაცია

„ლეონარდო და ვინჩი 2014" გამარჯვებულები გამოვლინდნენ

პროფესიული განათლება

მცირევადიანი მოდულურები პროგრამები დასაქმებას ვერ უზრუნველყოფს
გვერდი 3

გამოცდილების გაზიარება

გაკვეთილის დაგეგმვა ისტორიაში
გვერდი 4

პედაგოგთა დასახმარებლად

სწავლის სწავლა და უცხო ენის გაკვეთილი
ინგლისური ენა
გვერდი 5

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი

აცხადებს
ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

ბიზნესის მართვის კათედრა

1 პროფესორი;
1 ასოცირებული პროფესორი.

ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა

1 პროფესორი;
1 ასოცირებული პროფესორი.

სამართლის ფაკულტეტი

კერძო სამართლის კათედრა

1 პროფესორი.

საჯარო სამართლის კათედრა

1 პროფესორი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალისტიკის პროგრამული მიმართულება

1 პროფესორი.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა

1 პროფესორი;
1 ასოცირებული პროფესორი.

საბუთების მიღება იწარმოებს 2015 წლის 20 იანვრიდან 2015 წლის 28 იანვრის ჩათვლით, ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება 2015 წლის 20 თებერვალს.
კონკურსი დასრულდება და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება 2015 წლის 26 თებერვალს.

დაწვრილებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.gttu.edu.ge
ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომრებზე: 2 66 15 12; 2 24 65 91

იურისტის კონსულტაცია

რა შემთხვევაში შეუძლია დამსაქმებელს განახორციელოს მასობრივი დათხოვნა და რისი ვალდებულება ეკისრება მას?

იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას და 15 კალენდარული დღის განმავლობაში ხდება, სულ მცირე, 100 დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა (მასობრივი დათხოვნა) დამსაქმებელი ვალდებულია მასობრივ დათხოვნამდე, სულ მცირე, 45 კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და იმ დასაქმებულებს, რომელთაც უწყდებათ შრომითი ხელშეკრულებები.

რა შემთხვევაში შეიძლება შრომითი ხელშეკრულებით დადგინდეს დასაქმებულის ვალდებულება, შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს სხვა, კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ და რამდენ ხანს შეიძლება ეს შეზღუდვა არსებობდეს?

შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება დადგინდეს დასაქმებულის ვალდებულება, შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს სხვა, კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ. ეს შეზღუდვა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტიდან 6 თვის განმავლობაში, იმ პირობით, რომ ამგვარი შეზღუდვის მოქმედების პერიოდში დამსაქმებელი დასაქმებულს გადაუხდის ანაზღაურებას, არანაკლებ, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას არსებული ოდენობით.

შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული დასაქმებულის ვალდებულება, შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულებისას მიღებული ცოდნა და კვალიფიკაცია არ გამოიყენოს სხვა, კონკურენტი დამსაქმებლის სასარგებლოდ, ყველა სფეროში დასაქმებულებზე ვრცელდება?

ამგვარი შეზღუდვა არ შეიძლება დაუწესდეთ განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში მოღვაწე პირებს

ნატა ჩანადირი
საქართველოს პედაგოგთა
და მეცნიერთა თავისუფალი
პროფკავშირის იურისტი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

ასოციაცია „ზეკარმა“ სპეციალურად სკოლებისა და მასწავლებლებისთვის შექმნა სერია „მასწავლებლის ბიბლიოთეკა“. სერიის ფარგლებში მომზადებული და გამოშვებული წიგნები და პორტფოლიოები დიდი პოპულაროობით სარგებლობს, რადგან თითოეული მათგანი მასწავლებელს აწვდის საჭირო ინფორმაციას, უღრმავებს ცოდნას და უიოლებს მუშაობას.

რადგან განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა, მასწავლებლის ახალმა პროფესიული განვითარების სტანდარტმა, ოცდამეერთე საუკუნის ზოგადმა პრიორიტეტებმა, ევროინტეგრაციისკენ სწრაფვამ სკოლა და მასწავლებელი მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი მუდმივად ზრუნავდეს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. ამასთან მნიშვნელოვანია, მასწავლებელს მიეწოდოს ისეთი რესურსები, რომლებიც დაეხმარება ეფექტურ მუშაობაში. ასოციაცია „ზეკარის“ მიერ მომზადებული და გამოცემული წიგნები და პორტფოლიოები მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც მასწავლებლისთვის, ასევე სკოლის ბიბლიოთეკებისთვის.



მასწავლებლის სამუშაო რვეული

3 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

2014-2015 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

დამრიგებლის პორტფოლიო

6 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

5.50 ლარი

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

3 ლარი

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23 – „ახალი განათლების“ რედაქცია

პროფესიული განათლება

მცირევადიანი მოდულური პროგრამები დასაქმებას ვერ უზრუნველყოფს

2013 წლის 26 დეკემბრის პრემიერ-მინისტრის №300 ბრძანებით დამტკიცდა პროფესიული განათლების რეფორმის 2013-2020 წლების სტრატეგია, რომლის თანახმადაც, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (**თამარ სანიკიძე, ქეთევან ნატრიაშვილი**) და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს (**ელენე ჯიბლაძე**) დაევალათ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და პილოტირება 2014 წლის განმავლობაში. ეროვნულ ცენტრს ევალებოდა 100 პროფესიული სტანდარტის შემუშავება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპელმა და ქართველმა ექსპერტებმა დაიწუნეს 2010-2012 წლებში შექმნილი პროფესიული სტანდარტები, რის გამოც 2013 წელს ეროვნულმა ცენტრმა 50 პროფესიული სტანდარტი ახლიდან შეიმუშავა, რისთვისაც 400 000 ლარი გაიხარჯა, თუმცა არც ერთი მათგანი დღემდე არ არის დამტკიცებული.

2014 წელს კი განათლების და მეცნიერების სამინისტრომ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, პროფესიული კოლეჯებისათვის განკუთვნილი ასიგნებიდან, ეროვნულ ცენტრს 1.6 მლნ ლარი გადასცა პროფესიული სტანდარტების, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და პრემიერ-მინისტრის №300 ბრძანების შესასრულებლად. წელი მიიწურა და დღემდე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს არც ერთი პროფესიული სტანდარტი არ დაუმტკიცებია და არც მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პილოტირება განუხორციელებია, თუმცა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მთავრობის კანცელარიის უფროსის **მაია ცქიტიშვილის** სახელზე გაგზავნილ წერილში ირწმუნება, რომ დამტკიცებული სტრატეგიის შესაბამისად მოდულური პროფესიული პროგრამის პილოტირების ვადად განსაზღვრულია 2014 წელი და ყველა საჭირო ქმედება ხორციელდება სტრატეგიის შესაბამისად.

მიმდინარე წლის ოქტომბერში, პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს სხდომაზე, რომლის თავმჯდომარეცაა ქალბატონი თამარ სანიკიძე, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გამოიტანა საკითხი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მათი პილოტირების დაწყების შესახებ. ამ ფონზე საბჭოს წევრებისთვის სრულიად მოულოდნელი იყო ეროვნული ცენტრის დირექტორის ხელმოწერით 2014 წლის 5 ნოემბერს გამოცემული №688 ბრძანება, რომლითაც დაევალა საჯარო და კერძო პროფესიულ კოლეჯებს 2014 წელს განახორციელონ მოკლევადიანი (2-დან 6 კვირამდე) ცალკეული მოდულების პილოტირება. ამას წინ უძღოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაკეთებული განმარტება საჯარო პროფესიული კოლეჯებისადმი იმის თაობაზე, რომ 2014 წლის საშემოდგომოდ მიღებულ პროფესიულ სტუდენტებთან არ განხორციელდება მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პილოტირება. კოლეჯებისათვის არ გაკეთებულა რაიმე განმარტება, რატომ არ უნდა შესრულდეს პრემიერ-მინისტრის ბრძანება.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემული 5 ნოემბრის №688 ბრძანება უკანონოა. ის ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს „პროფესიული განათლების შესახებ“, სხვა ნორმატიულ აქტებს და, რაც მთავარია, პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის №300 ბრძანების მოთხოვნებს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების პროფკავშირმა სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი ბათილად ცნობის მოთხოვნით და საქმის განხილვამდე მის შეჩერებაზე. საქალაქო სასამართლომ განიხილა ჩვენი სარჩელი, მიიღო წარმოებაში და შეაჩერა №688 ბრძანების მოქმედება.

ეროვნულმა ცენტრმა აღნიშნული ბრძანებით თავის თავს კანონმდებლის ფუნქცია მიანიჭა, მოდულებზე მიღებულ ახალგაზრდებს დაარქვა არა პროფესიული სტუდენტი, არამედ მსმენელი, დიპლომის მაგივრად აპირებდა სერტიფიკატის გაცემას, აფინანსებდა მხოლოდ საჯარო კოლეჯებს, კერძო კოლეჯებს კი ავალებდა ცალკეული მოდულების პილოტირებას დაფინანსების გარეშე, ცალკეულ სპეციალობებზე მოზიდულ და ჩარიცხულ იქნენ სხვადასხვა განათლების მქონე ადამიანები – 9 კლასის, 12 კლასის, უმაღლესი განათლების მქონე და კოლეჯში მომუშავე თანამშრომლებიც კი.

5 ნოემბრის №688 ბრძანების გამოცემისა და პროფესიულ კოლეჯებთან ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის, ეროვნულ ცენტრს მოძიებული არ ჰქონია პილოტირებისათვის საჭირო დაფინანსება. მხოლოდ ჩვენ მიერ წერილობით მოთხოვნილი ინფორმაციის პასუხად დაფინანსების წყაროს შესახებ, ელენე ჯიბლაძემ 21 ნოემბერს გამოსცა კიდევ ერთი კანონსაწინააღმდეგო №720 ბრძანება, რომლითაც თვითნებურად გამოყო 87 000 ლარი და ისევ კანონდარღვევით წარმართა ის პროფესიული კოლეჯების დაფინანსებისათვის. მთავარი ისაა, რომ მცირევადიანი ცალკეული მოდულების გავლის შემდეგ, ვერც ერთი მსმენელი ვერ დასაქმდება, ეს ჯგუფები დაკომპლექტებული იყო იმ ახალგაზრდების რიცხვიდან, ვინც დარეგისტრირდა დასაქმების სახელმწიფო პროგრამაში. რასაკვირველია, მათი მოლოდინი, პილოტირების დასრულების შემდეგ, დასაქმების შესაძლებლობა იყო, რასაც მცირევადიანი მოდულური პროგრამები ვერ უზრუნველყოფს. ამ შემთხვევაში კი პროფესიული განათლების სისტემას რეალურად ემუქრებოდა ავტორიტეტის შელახვა, რაც ძალზე ცუდად იმოქმედებდა კონკრეტული პროფესიული კოლეჯების და მათი პედაგოგების ავტორიტეტზეც.

სამწუხარო და გასაკვირია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი პასუხისმგებლობის აღიარებისა და პედაგოგებისა და მოტყუებული ხალხისთვის ბოდიშის მოხდის ნაცვლად, ცდილობს სასამართლო დავაში ჩააბას რიგი პროფესიული კოლეჯების დირექტორები და ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობი ცალკეული მოდულური პროგრამების განმახორციელებელი პედაგოგები.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ სარჩელზე სასამართლო სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს, რაც ხელს შეუწყობს პროფესიულ განათლებაში კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებათა, მათ შორის, მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (1 - 1,5 წლის ხანგრძლივობით) შემუშავებას შრომის ბაზრისა და კონკრეტული დამსაქმებლების მოთხოვნის შესაბამისად. მანამდე კი სრულ წესრიგშია მოსაყვანი პროფესიული კოლეჯების მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, შესაქმნელია სახელმძღვანელოები, დამხმარე ლიტერატურა და, რაც მთავარია, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ბოლომდე უნდა მიიყვანოს პროფესიული სტანდარტების გადამუშავებისა და დამტკიცების პროცესი, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს.

სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისთანავე მზად ვართ, შევხვდეთ და ვესაუბროთ პროფესიულ განათლებაში არსებულ პრობლემებზე ყველა დაინტერესებულ მხარეს, პირველ რიგში, პროფესიული კოლეჯების პედაგოგებს, შევაჯეროთ ჩვენი პოზიციები ხანმოკლე მოდულური პროგრამების და მათი პილოტირების ავკარგიანობაზე. დღეისათვის მოკლევადიანი პროფესიული განათლება არ ხორციელდება ევროპის არც ერთ ქვეყანაში, მასზე საქართველოშიც არ არსებობს მოთხოვნა დამსაქმებლების მხრიდან.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ყველა პედაგოგს გადაუხადოს მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი თანხები, ხოლო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ყველა შეცდომაში შეყვანილი მოქალაქე (მსმენელს) 2015 წლის საგაზაფხულო მიღებაზე, პროფესიული სტუდენტის სტატუსით, ერთიანი პროფესიული ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხოს.

პროფესიული განათლების პროფესიული კავშირი, როგორც სოციალური პარტნიორი, ყოველთვის იქნება პროფესიული კოლეჯების კოლექტივების, სტუდენტების ინტერესების სადარაჯოზე და ვერ მოიხსნის ვალდებულებას თითოეულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ეს.

დენის დავითაშვილი
პროფესიული განათლების პროფესიული კავშირის თავმჯდომარე, ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრი

ვიქტორინა

გაზეთი „ახალი განათლება“ და „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია“ აგრძელებენ ვიქტორინას

„წაიკითხე, უპასუხე, დასვი კითხვა“

მოგესალმებით ძვირფასო მკითხველო,

როგორც იცით, ვიქტორინას ფარგლებში, გაზეთმა „ახალი განათლება“ და „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნულმა ფედერაციამ“ შემოგთავაზათ **ერლომ ახვლედიანის** მოთხრობა **„შურიანი კაცის ამბავი“**. დარწმუნებული ვართ, მოთხრობის წაკითხვამ დიდი სიამოვნება მოგანიჭათ.

გთავაზობთ შეკითხვებს მოთხრობიდან:

1. როგორი კაცი იყო მთავარი გმირი?
2. რისი შურდა შურიან კაცს?
3. ერთხელ რა გადაწყვიტა შურიანმა კაცმა?
4. რატომ ისწავლა ცურვა?
5. რატომ ისწავლა ფრენა?
6. რატომ გახდა ერთგული?
7. რატომ გახდა თვინიერი?
8. ბოლოს რისი შეშურდა?
9. რა გადაწყვიტა შურიანმა კაცმა?
10. როგორ დაასრულა თავისი შურიანი ცხოვრება?
11. ახლა რას აკეთებს შურიანი კაცი?

ალბათ გახსოვთ, რომ ვიქტორინას **ერთადერთი პირობა** აქვს – **კონკურსანტი სკოლის მოსწავლე უნდა იყოს.** ხოლო პასუხები შეკითხვებზე გამოგვივზავნოთ მისამართზე – viqtorina.sssef@gmail.com

პასუხები მოგვწერეთ 2014 წლის 18 დეკემბრამდე

პასუხების გარდა, მონაწილეს შეუძლია ნაწარმოებიდან კითხვები **„რა? სად? როდის?“** ფორმატში თავადაც დასვას.

თუ გაგიჩნდებათ კითხვა **„რა? სად? როდის?“** ფორმატის შესახებ, დასაზუსტებლად ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სატელევიზიო გადაცემის ვებგვერდზე: http://www.gametv.ge/„გამოგვიგზავნე კითხვა“; „10 რჩევა ავტორებისათვის“, რომელიც სახელმძღვანელოდ შეიძლება გამოიყენოთ.

პროექტის პარტნიორები არიან:
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი, პოეტი, ესეისტი **გიორგი კეკელიძე**;
საინფორმაციო მხარდამჭერია გაზეთი „ახალი განათლება“, რედაქტორი – **მარიკა ჩიქოვანი**;
სატელევიზიო გადაცემა **„რა? სად? როდის?“.**
პრიზები დააწესა:
გამომცემლობამ „ელფი“, გენერალური დირექტორი – **თინათინ დიდებულიძე**;

გაზეთი „ახალი განათლება“ და „საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია“ წარმატებას გისურვებთ.

GameTV
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ახალი განათლება

გამოცდილების გაზიარება

გაკვეთილის დაგეგმვა ისტორიაში

სასწავლო პროცესის წარმართვაში მასწავლებელს უდიდესი როლი აკისრია, რადგან მისი პროფესიული საქმიანობის შედეგი პირდაპირ კავშირშია მოსწავლის აკადემიურ მიღწევებთან, აგრეთვე ის უნდა იყოს იმის გარანტიც, რომ მის მიერ აღზრდილი მოსწავლე აღჭურვილი იყოს 21-ე საუკუნის მაღალი დონის უნარებით და თავისუფლად შეეძლოს სწრაფად ცვალებად მსოფლიოში ლავირება და განვითარება.

მეცნიერული კვლევების შედეგად დამტკიცებულია, რომ რაც უფრო კარგად არის ორგანიზებული სასწავლო პროცესი და რაც უფრო პროფესიონალი ადამიანი დგას ამ ორგანიზების უკან, მით უფრო მაღალია მოსწავლეების მოტივაცია სასწავლო პროცესის მიმართ და მეტი ხალისით ეკიდებიან სწავლებას. ორგანიზებულ სასწავლო პროცესს აუცილებლად სჭირდება სამოქმედო გეგმა – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი კი გაკვეთილის გეგმას, ანუ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვას უკავია. დამეთანხმებით, რომ მასწავლებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს დაგეგმილი და გააზრებული ყოველი მომდევნო გაკვეთილის სიუჟეტი – თუ რა არის ამა თუ იმ გაკვეთილზე მისი მთავარი მიზანი და გადასაჭრელი ამოცანა, რა აქტივობებს განახორციელებს ამ მიზნის მისაღწევად, რომელ მეთოდებს გამოიყენებს, მოსწავლეთა ორგანიზების რა ფორმებს მიანიჭებს უპირატესობას, რა შედეგს მიიღებს, როგორ გაზომავს მას და, რაც ყველაზე მთავარია – ჩატარებული გაკვეთილის ანალიზის საფუძველზე, როგორ დაგეგმავს ახალ, მომდევნო გაკვეთილს.

როცა გაკვეთილის დაგეგმვაზე ვიწყებთ საუბარს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ჩვენში, მასწავლებლებში გაბატონებული შინაგანი პროტესტი გაკვეთილის დაგეგმვის მიმართ. ამის დასამტკიცებლად შემდეგი არგუმენტები მოგვყავს: კარგ მასწავლებელს არ სჭირდება წინასწარ გაკვეთილის დაგეგმვა, შემოქმედმა მასწავლებელმა იქვე უნდა შეძლოს დაინახოს კლასის საჭიროება და ისე დაგეგმოს გაკვეთილი და არა წინასწარ, რადგან კლასი ცოცხალი ორგანიზმია და წინასწარ რაღაცის დაწერა დროის ფუჭი ხარჯვაა და მეტი არაფერი. არადა, სწორედ გაკვეთილის დაგეგმვის დროს ხდება იმ უდიდესი გამოცდილების მიღება, რაც პროფესიულად ზრდის მასწავლებელს, სწორედ დაგეგმვის შედეგად მიღებული გამოცდილებით ხვეწს და უკეთესს ხდის ყოველ მომდევნო გაკვეთილს.

მე დღეს ვისაუბრებ გაკვეთილის დაგეგმვაზე, მის ყველა ფაზაზე და კონკრეტული მაგალითის საფუძველზე განახებთ, როგორ დავგეგმოთ გაკვეთილი.

დეტალურად მიმოვიხილოთ გაკვეთილის დაგეგმვის კონკრეტული მაგალითი, რომლისთვისაც შევარჩიე თემა: „საზღვაო-საქალაქო ცივილიზაციები. ბერძნული პოლისები, სახელმწიფოს მმართველობის ფორმები“ მე-11 კლასი („ისტორია“, XI კლასი, ავტორები: ნ. კიღურაძე, გ. სანიკიძე, ლ. გორდეზიანი, ლ. ფირცხალავა, რ. გაჩეჩილაძე, ნ. ასათიანი; ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2013 წელი).

თავდაპირველად მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი.

ჩვენთვის ცნობილია, რომ გაკვეთილის მიზანს, თავის მხრივ, 3 ძირითადი ფუნქცია აქვს. ესენია: **საგანმანათლებლო, განმავითარებელი და აღმზრდელობითი** მიზანი. გაკვეთილის მიზნის დაწერის დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამივე კომპონენტის კომპლექსურობა და ურთიერთკავშირი. გაკვეთილის მიზნის განსაზღვრის დროს მასწავლებლის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს მოსწავლე, კლასის პროფილი, აგრეთვე, რა ტიპის გაკვეთილს ატარებს – მიმდინარეს თუ შემაჯამებელს და, რა თქმა უნდა, ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტი, შედეგები და მათი ინდიკატორები. გაკვეთილის მიზანი უნდა იყოს რეალისტური, კონკრეტული და მარტივი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რიგი მოსწავლეებისათვის იწერება და სწორედ მათ შესაძლებლობებს უნდა შეესაბამებოდეს. გაკვეთილის მიზანი შეიძლება იყოს როგორც გარკვეული ინფორმაციის გადაცემა მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის, ასევე ზოგადი ან სპეციფიკური საგნობრივი უნარების განვითარებისათვის ხელშეწყობა. მიზნის დაწერის დროს უნდა გამოვიყენოთ შემდეგი ზმნები: გაიგებენ, აღწერენ, ახსნიან, შეადარებენ, გააანალიზებენ, შეაჯამებენ, შეაფასებენ და ა. შ. ყურადღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე მიზნების თანმიმდევრობას, ანუ მოსწავლემ ახალი თემა ჯერ უნდა გაიგოს, შემდეგ აღწეროს, გააანალიზოს და ბოლოს შეაჯამოს.

მაგალითისათვის, ჩვენი კონკრეტული გაკვეთილის მიზანი იქნება: მოსწავლეები გაეცნობიან საზღვაო ცივილიზაციებს, ბერძნულ პოლისებს – ათენსა და სპარტას, აგრეთვე მმართველობის ფორმებს საბერძნეთის მაგალითზე. იმსჯელებენ მმართველობის ფორმების დადებით და უარყოფით მხარეებზე, ერთმანეთს შეადარებენ ათენსა და სპარტას, გაანალიზებენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს.

მას შემდეგ, რაც განვსაზღვრავთ გაკვეთილის გეგმას, საჭიროა გადავხედოთ ეროვნულ სასწავლო გეგმას, კერძოდ, ისტორიის სტანდარტს და განვსაზღვროთ, ამ კონკრეტული გაკვეთილით სტანდარტის რომელი მიმართულების შედეგზე და ინდიკატორზე გავდივართ. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში სტანდარტი, შედეგი და მათი ინდიკატორები შემდეგნაირად ჩამოყალიბდება.

როცა უკვე ვიცით გაკვეთილის თემა, მიზანი და რას ვეღლით ამა თუ იმ გაკვეთილიდან, უნდა ვიზრუნოთ რესურსებზე. დამეთანხმებით, რომ კარგად შერჩეული რესურსები, ერთი მხრივ, წარმატებული და, მეორე მხრივ, ბუნებრივად საინტერესო გაკვეთილის ჩატარებას უზრუნველყოფს. ხშირად მასწავლებლები ჩივიან, რომ სკოლების ადმინისტრაცია მათ ვერ უზრუნველყოფს საჭირო რესურსებით, რაც აბრკოლებს გაკვეთილების მაღალ დონეზე ჩატარებას. თუმცა ვფიქრობ, სულაც არაა საჭირო, ისტორიის გაკვეთილებზე, მასწავლებელმა ყოველთვის გამოიყენოს კომპიუტერული ტექნიკა, მწირი რესურსებითაც შეიძლება საინტერესო და ინოვაციური გაკვეთილის ჩატარება. ამ კონკრეტულ გაკვეთილზე დაგვჭირდება შემდეგი რესურსები: სახელმძღვანელო, პოლიტიკური რუკა.

მას შემდეგ, რაც უკვე შევარჩევთ რესურსებს, მიზნიდან გამომდინარე, სწორად უნდა შევარჩიოთ ის აქტივობები და მეთოდები, რომელსაც ამ კონკრეტულ გაკვეთილზე გამოვიყენებთ. აქვე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო აქტივობებზე და მეთოდებზე, რადგან გაკვეთილის გეგმის შედგენის დროს მასწავლებლებს გვიჭირს ერთმანეთისაგან განვასხვავოთ აქტივობები და მეთოდები, მით უმეტეს, რომ ზოგიერთ მეთოდურ ლიტერატურაშიც არ არის ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნული აქტივობა და მეთოდი. ამ საკითხს იმიტომ მინდა განსაკუთრებული ყურადღება დავუთმო, რომ ახალი სქემის ამუშავების შემდეგ, სავარაუდოდ, ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი სწორედ სამოდელო გაკვეთილის ჩატარება და ყველა იმ რეკომენდაციის გათვალისწინება იქნება, რასაც ეს სქემა ითვალისწინებს.

ორიოდე სიტყვით მინდა განვმარტო აქტივობის და მეთოდის რაობა.

აქტივობა არის ყველა ის ქმედება, რასაც მოსწავლე ან მასწავლებელი აკეთებს კონკრეტულ გაკვეთილზე კონკრეტული, წინასწარ დასახული მიზნის განსახორციელებლად, ხოლო როგორ აკეთებს, როგორ ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას – არის მეთოდი. მაგალითად, მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს ჯვაროსნული ლაშქრობების მიზეზებს და საბაბს – ეს აქტივობაა, ხოლო თუ ამ ამოცანის განსახორციელებლად გამოიყენებს მინი-ლექციას – ეს იქნება მეთოდი.

სანამ გაკვეთილზე გამოსაყენებელ აქტივობებზე და მეთოდებზე გადავიდოდეთ, უნდა განვმარტოთ, რომ გაკვეთილი სამფაზიანი მოდელია და შედგება გამოწვევის, სიღრმისეული ცოდნის და რეფლექსიისაგან. ამიტომ აქტივობების შერჩევის დროს აუცილებელია გაკვეთილის სტრუქტურირების ამ ელემენტების გათვალისწინება.

მას შემდეგ, რაც დავგეგმავთ გაკვეთილზე გამოსაყენებელ ყველა აქტივობას და მეთოდს, უნდა დავფიქრდეთ, მოსწავლეთა ორგანიზების რომელ ფორმას გამოვიყენებთ. ამ ფაქტორს ერთ-ერთი გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი როლი ენიჭება გაკვეთილის დაგეგმვისას, რადგან გაკვეთილის მსვლელობის შემდეგ მოფიქრებული მოსწავლეთა ორგანიზების სხვადასხვა ფორმა (მაგალითად, ჯგუფური მუშაობა) გამოიწვევს კლასში უსაფუძვლო ხმაურს და დროის არარაციონალურ ხარჯვას.

ზოგადად, ყველაზე გავრცელებულია მოსწავლეთა ორგანიზების ორი ფორმა: მთელ კლასთან და ჯგუფური მუშაობა. ჯგუფური მუშაობის ფორმის გამოყენების დროს, უმჯობესია, სანამ გაკვეთილი დაიწყება, მანამდე ვთხოვოთ მოსწავლეებს, დასხდნენ ჯგუფებად (აქვე მინდა აღვნიშნო, რომ შეიძლება მოსწავლეებს თვითონ მივცეთ საშუალება, ერთად დასხდნენ ისინი, ვისაც უადვილდება ერთად მუშაობა, თუმცა ყურადღება უნდა გავამახვილოთ, მინიმუმ, ორ ფაქტორზე: ერთი, არ მოხდეს ჯგუფების გადანაწილება დონეების მიხედით (თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ესეც შესაძლებელია) და მეორე, ხელი შევუწყოთ მოსწავლეებს კლასის ყველა წევრთან თავიანთი შესაძლებლობების მოსინჯვაში). ასევე გასათვალისწინებელია, რომ გაკვეთილის დაგეგმვისას, ყურადღება მივაქციოთ ბავშვების მიზანმიმართულ დაყოფას ჯგუფებად, რათა არ მოხდეს ინდივიდუალური სასწავლო პროგრესის შეფერხება. სხვადასხვა პედაგოგიური კვლევებით დასტურდება, რომ სწორედ ევალვაცია ემსახურება სწავლის შედეგის სწორ შეფასებასა და შემდგომი ნაბიჯების თანმიმდევრულ დაგეგმვას. თუმცა მხოლოდ სწავლის შედეგების შეფასება არ განაპირობებს შემდგომი პროცესის სწორ დაგეგმვას. მასწავლებელმა მოსწავლის ინდივიდუალური მონაცემები და ძალისხმევა უთუოდ უნდა გაითვალისწინოს.

ეს მცირე კომენტარი ჯგუფური მუშაობის შესახებ კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ წინასწარ აუცილებელია გაკვეთილის დაგეგმვა, კარგად გააზრება, რამდენად საჭიროა ან არაა საჭირო მოსწავლეთა ორგანიზების ესა თუ ის ფორმა, რადგან ზოგჯერ მასწავლებლები განყენებულად, ერთიან საგაკვეთილო სივრცესთან არაორგანულად შერწყმულ მეთოდს თუ ფორმას იყენებენ და ჰგონიათ, რომ ისინი ატარებენ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის გაკვეთილებს.

მას შემდეგ, რაც უკვე გარკვეული გვაქვს აქტივობები, მეთოდები და მოსწავლეთა ორგანიზების რომელ ფორმებს გამოვიყენებთ, საჭიროა განვსაზღვროთ, რომელი აქტივობის განხორციელებას რამდენ დროს დავუთმობთ.

აგრეთვე, მასწავლებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული, გაკვეთილზე მოსწავლეთა შეფასებისათვის რომელ ფორმას გამოიყენებს – განმსაზღვრელს თუ განმავითარებელს, ხოლო თუ მასწავლებელი განმსაზღვრელი შეფასების გამოყენებას აპირებს, მას უნდა ჰქონდეს შეფასებისათვის აუცილებელი რუბრიკები, რაც წინასწარ უნდა იყოს ცნობილი მოსწავლისათვის და თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული. სწავლის შედეგის დადგენისა და შეფასების მეთოდი არ უნდა იყოს ბავშვების ყოველდღიური, ჩვეული სასწავლო გარემოდან ამოვარდნილი. არც ცოდნის დონის დადგენის მეთოდი და არც თვითშეფასების ფორმები ბავშვში შიშსა და კონტროლის განცდას არ უნდა იწვევდეს, ხოლო კონკრეტულ ნიშანს სადამსჯელო ფუნქცია კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ მოტივაციის ამაღლების საშუალება უნდა იყოს. მოსწავლის ცოდნა შევაფასოთ და არა მოსწავლის არცოდნა. თუ ჩვენ მოსწავლეს ვუწერთ 6-ს ან 7-ს, ყურადღება გავამახვილოთ არა იმაზე, თუ რა არ იცის მან, არამედ, რა იცის და რატომ მიიღო ეს ქულა. აქვე რეკომენდაცია უნდა მივცეთ, რა არის საჭირო მომდევნო გაკვეთილებზე ქულების გასაუმჯობესებლად.

მოკლედ მინდა გესაუბროთ, როგორ ჩავატარე ეს გაკვეთილი:

გაკვეთილი დავიწყე სამოტივაციო კითხვით, რომელიც მიზნად ისახავდა ე.წ. „ყინულის გალღვობას“, დავსვი შეკითხვა – „თქვენ რომ საშუალება გქონდეთ, რას დაათვალიერებდით, პირველ რიგში, საბერძნეთში?“ პასუხები მრავალფეროვანი იყო, თუმცა იყო ისეთი პასუხიც, რომელიც მე მაინტერესებდა (მაგალითად, ბერძნული არქიტექტურა) და რომელსაც გაკვეთილზე მივუბრუნდებოდი. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მიხვდნენ, რომ დღეს საუბარს საბერძნეთზე ვაგრძელებდით, მოკლედ, მინი-ლექციის საშუალებით მივაწოდე ინფორმაცია მმართველობის ფორმებზე, ძველი საბერძნეთის მაგალითზე დაყრდნობით.

გაკვეთილის შემდეგი აქტივობები და მეთოდები ისე მქონდა დაგეგმილი, რომ კლასის საჭიროებებს შეესაბამებოდა. ჯგუფური მუშაობა გამოვიყენე ორჯერ: პირველად, როცა მათ T დიაგრამის საშუალებით უნდა ჩამოეწერათ მონარქიის, ტირანიის, ოლიგარქიის და დემოკრატიის დადებითი და უარყოფითი მხარეები (ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ მათ გააკეთეს პრეზენტაციები. შემდეგ მოკლედ, მინი-ლექციის საშუალებით, მიმოვიხილე ბერძნული პოლისების – ათენის და სპარტას პოლიტიკური მდგომარეობა) და, მეორედ, როცა ჯგუფებს მივეცი დავალება, ვენის დიაგრამის გამოყენებით, ერთმანეთისათვის შეედარებინათ ბერძნული პოლისები. დავალების დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა გააკეთეს პრეზენტაციები.

მას შემდეგ, რაც მათ წარმოდგენა შეექმნათ მმართველობის ფორმებზე და ბერძნული პოლისების რაობაზე, დავსვი სადისკუსიო შეკითხვა: „ათენი თუ სპარტა? დემოკრატია, ტირანია, ოლიგარქია თუ მონარქია?“ ძალიან საინტერესო დისკუსია გაიმართა. მოსწავლეებმა მოძებნეს საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტები როგორც მონარქიის, ასევე დემოკრატიის და ტირანიის სასარგებლოდ. დისკუსიის დასრულების შემდეგ კითხვა-პასუხით შევაჯამეთ გარკვეული საკითხები და თემა გამთლიანებული წარმოვადგინეთ.

საშინაო დავალებად მოსწავლეებს მივეცი შესაბამისი პარაგრაფი სახელმძღვანელო წიგნში და დამატებით დავალებად ვთხოვე, მოეძიათ ინფორმაცია თანამედროვე სახელმწიფოთა მმართველობის ფორმების შესახებ. მოსწავლეთა შეფასებისათვის გამოვიყენე განმსაზღვრელი შეფასება და შევაფასე შემდეგი რუბრიკებით: „რუბრიკა დისკუსიისათვის“ და „რუბრიკა ისტორიის გაკვეთილზე გამოყენებული ზოგიერთი ინტერაქტიული მეთოდის შეფასებისათვის“.

დიდი მონდომებითა და სიზუსტით უნდა დავგეგმოთ გაკვეთილი, მისი განხორციელების პროცესში აუცილებლად მოგვიწევს რომელიმე კომპონენტის შეცვლა. ამიტომაც საჭიროა, გაკვეთილის ჩატარების შემდეგ, თავად მოვახდინოთ ჩატარებული გაკვეთილის და საკუთარი თავის თვითშეფასება, ანუ საჭიროა გაკვეთილისადმი ანალიტიკური მიდგომა.

გაკვეთილის სწორად გაანალიზებისთვის, საჭიროა გავითვალისწინოთ:

1. სასწავლო დაწესებულება, კლასი, მოსწავლეთა რაოდენობა და მათი დასწრება გაკვეთილზე, საგანი;

2. რა არის მოცემული კონკრეტული გაკვეთილის თემა და რა მიზანს ისახავს მასწავლებელი;

3. როგორია გაკვეთილის ორგანიზაციული მხარე (ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მივაქციოთ, რამდენად მზად ვართ გაკვეთილისთვის, გვაქვს თუ არა გაკვეთილის გეგმა, და დამხმარე მასალები, მზად არიან თუ არა მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესისათვის, ანუ აქვთ თუ არა მათ საჭირო ნივთები, როგორაა ორგანიზებული საკლასო სივრცე და ა.შ.);

4. როგორია გაკვეთილის ორგანიზაციული სტრუქტურა (რამდენად დროულად და მობილიზებულად დავიწყეთ გაკვეთილი, როგორი თანმიმდევრობით წარვმართეთ იგი, როგორი იყო გაკვეთილის დინამიკა და სხვ.);

5. როგორია საგაკვეთილო მასალის შინაარსობრივი ანალიზი და მიდგომები (რამდენად შეესაბამება სასწავლო მასალა და პროგრამა მოსწავლეთა ცოდნას და უნარებს, არის თუ არა კავშირი თეორიულ და პრაქტიკულ მასალას შორის და სხვ.);

6. როგორია მასწავლებლის მიდგომა გაკვეთილის მიმართ (როგორ გვაქვს შერჩეული სწავლების მეთოდები, რამდენად ნათელია გაკვეთილის საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი და განმავითარებელი კომპონენტების ურთიერთკავშირი, ვიყენებთ თუ არა გაკვეთილის მსვლელობის დროს დიფერენცირებულ და ინდივიდუალურ მიდგომებს და სხვ.);

7. მასწავლებლის საქმიანობა საგაკვეთილო პროცესში (გავააანალიზოთ, რამდენად მეცნიერულად დასაბუთებულად მივაწოდეთ მოსწავლეებს მასალა, როგორ გამოვიყენეთ ჩვენი პედაგოგიური გამოცდილება და მიღწევები, როგორი დამოკიდებულება გამოვამჟღავნეთ მოსწავლეთა მიმართ და სხვ.);

8. მოსწავლეების საქმიანობა გაკვეთილზე (ყურადღება უნდა მივაქციოთ მოსწავლეთა მიერ ქცევის წესების დაცვას, მათ აქტიურობას თუ პასიურობას, მოსწავლეთა ზეპირ და წერილობით კონტაქტებს, მოსწავლეთა თეორიული ცოდნის გამოყენებას პრაქტიკაში, მოსწავლეთა და ჩვენი თანამშრომლობის ასპექტებს და სხვ.).

ბოლოს, აუცილებელია დასკვნა, სადაც ხაზგასმული იქნება საგაკვეთილო გეგმის შესრულების, გაკვეთილის მიზნის მიღწევის დონე. უნდა გამოიყოს გაკვეთილის მთავარი, მნიშვნელოვანი ნაწილი ან ნაწილები და, რაც მთავარია, რა ცვლილებები უნდა დავგეგმოთ უკეთესი შედეგის მისაღებად ან გაკვეთილის უკეთ შესაფასებლად.

ასეთია მოკლედ ის ძირითადი საკითხები, რაც, ჩემი აზრით, უნდა გავითვალისწინოთ გაკვეთილის დაგეგმვის დროს. ვფიქრობ, სწორად დაგეგმილი გაკვეთილი ერთ-ერთი მთავარი პირობაა მოსწავლეთა წარმატებული სწავლა-სწავლების პროცესში.

კახაბერ ჩაკვეტაძე
სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის ისტორიის სერტიფიცირებული მასწავლებელი, ბათუმის მასწავლებლის სახლის ტრენერი

პედაგოგთა დასახმარებლად

ინგლისური ენა

სწავლის სწავლა და უცხო ენის გაკვეთილი

ეკა ტყავაშვილი

Give a man a fish and feed him for a day; teach a man to fish and feed him for a lifetime
Chinese proverb

მიდგომა, რომელიც სწავლის სწავლას სასწავლო გეგმასა და პროგრამაში განსაკუთრებულ კომპონენტად მიიჩნევს, აქცენტს აკეთებს სწავლებისა და სწავლის როგორც პროცესზე, ასევე პროდუქტზე. იგი სტიმულს აძლევს მოწაფეებს იფიქრონ არა მარტო იმაზე, თუ **რა** უნდა ისწავლონ, არამედ – **როგორ** უნდა ისწავლონ. როგორც ცნობილი ანდაზა ამბობს: „თქვენ შეგიძლიათ ცხენი წყალთან მიიყვანოთ, მაგრამ მას ვერ აიძულებთ, რომ წყალი დალიოს“. სწავლის კონტექსტში ეს შემდეგს ნიშნავს: ჩვენ შეიძლება უამრავი შესაძლებლობა შევთავაზოთ მოწაფეებს, მაგრამ მათ მაგივრად ვერ ვისწავლით. მოწაფეებს უნდა დავეხმაროთ, რომ გახდნენ ავტონომიური და ისწავლონ რაც შეიძლება მეტი, მათთვის ყველაზე ეფექტური და მისაღები გზით. სწავლის სწავლის მიდგომა ინტეგრირებულად ავითარებს ენობრივ უნარ-ჩვევებს. გარდა ამისა, მოწაფეების პიროვნულ და ზოგად განვითარებას უწყობს ხელს. ამ მიდგომის ამოსავალი პრინციპი ემყარება იმ რწმენას, რომ რაც უფრო მეტად არიან მოწაფეები ინფორმირებული სწავლის სტრატეგიების შესახებ, მით უფრო მეტ წარმატებას აღწევენ სწავლაში.

შემსწავლელზე ორიენტირებული მიდგომის მიხედვით, ყურადღების ცენტრშია მოწაფე. ეს მიდგომა კონცენტრირებულია იმაზე, თუ **რა იცის** მოწაფემ, რა უნდა მას, რომ **ისწავლოს,** და **როგორ** უნდა მიაღწიოს ამას უმოკლესი გზით. შემსწავლელზე ორიენტირებულ მიდგომაში მასწავლებელი ფასილიტატორია და ეხმარება მოწაფეებს სწავლის საუკეთესო გზის მიგნებაში. მასწავლებელი ფიქრობს იმ გზებზე, თუ როგორ შეიძლება მოწაფეების მოტივირება და სწავლაში მათი ჩართვა. შემსწავლელი არის აქტიური. იგი იღებს გადაწყვეტილებებს და მართავს საკუთარი სწავლის პროცესს. ეს მიდგომა მიზნად ისახავს მოწაფის აქტიურ მონაწილეობას სწავლის ყოველ ეტაპზე, დაწყებული ენობრივი მასალის შერჩევით და პრეზენტაციით და ვარჯიშით დამთავრებული. მოწაფე მუდმივად თვალყურს ადევნებს საკუთარ მუშაობას და აფასებს მას.

ქვემოთ განხილულია მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომის და შემსწავლელზე ორიენტირებული მიდგომის დამახასიათებელი ნიშნები:

მასწავლებელზე ორიენტირებული მიდგომა	მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა
• მოწაფეები დამოკიდებული არიან მასწავლებელზე ახალი სიტყვების ახსნის საკითხში • მასწავლებელი აძლევს მოწაფეებს ტექსტს და შემდეგ უსვამს შეკითხვებს • მასწავლებელი ირჩევს თემებს საკუთარი ინტერესებიდან და გემოვნებიდან გამომდინარე • მასწავლებელს შემოაქვს ახალი გრამატიკული მასალა და მოწაფეები ქმნიან წინადადებებს ამ წესის გამოყენებით • მასწავლებელი მოწაფეებს აძლევს დავალებას, დაწერონ წერილი გარკვეული თემის შესახებ და სთხოვს, რომ მას ელექტრონული ფოსტით გაუგზავნონ შესრულებული საშინაო დავალება. მასწავლებელი იღებს იმეილებს, უსწორებს ნაწერებს მოწაფეებს და უკან უგზავნის ნამუშევრებს.	• მასწავლებელი, მოწაფეების ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით, ქმნის აქტივობებს • მოწაფეები თვითონ უდგენენ შეკითხვებს ტექსტს • მოწაფეები ახალ გრამატიკულ მასალაზე ვარჯიშობენ როლური თამაშის საშუალებით • მასწავლებელი მოწაფეებს სთხოვს, თვითონ აღმოაჩინონ გრამატიკული წესი (აღმოჩენებით სწავლა) • მოწაფეები თვითონ განსაზღვრავენ რა ისწავლონ • მასწავლებელი დამხმარეა, აძლევს მიმართულებას • მასწავლებელი წაახალისებს მოწაფეებს, ერთმანეთს მისცენ კომენტარი • მოწაფეები ეცნობიან სიტყვების ჩაწერის სხვადასხვა მეთოდს და ირჩევენ იმ სტრატეგიას, რაც მათ ეხმარება საუკეთესოდ სწავლაში. • ა.შ.

სწავლის სწავლის უპირატესობებია:

- მოტივაციის გაზრდა
- თვითცნობიერების ამაღლება
- სწავლაში მოწაფის აქტიური მონაწილეობა
- ღია, ცნობისმოყვარეობითი დამოკიდებულების წახალისება
- კარგი სამუშაო ჩვევები
- ორგანიზებული მიდგომა საკუთარი სწავლის მართვისადმი
- უკეთესი კონცენტრაცია
- გაუმჯობესებული მეხსიერების სტრატეგიები
- თანატოლებს შორის თანამშრომლობა, გაზიარება და პატივისცემა
- მოწაფის პასუხისმგებლობის გრძნობით სავსე, რეფლექსიურ და დამოუკიდებელ შემსწავლელად ჩამოყალიბება.

გთავაზობთ რამდენიმე აქტივობას, რომლებიც ხელს უწყობს შემსწავლელზე ორიენტირებულობის გაზრდას და შემსწავლელის როლის გაძლიერებას.

აქტივობა 1. „იპოვე განსხვავება“
დონე: ელემენტარული
ასაკი: 8-10
ორგანიზაცია: ინდივიდუალური, წყვილებში მუშაობა
მიზნები: ენობრივი მასალის (გრამატიკის და ლექსიკის) განმტკიცება, სურათებს შორის განსხვავებების დადგენა ინტერაქციის საშუალებით, მოწაფეთა ავტონომიის გაზრდა.
ენობრივი ფოკუსი: There is/are, Have/has got
მასალა: ცარიელი ფურცლები, ფერადი ფანქრები

პროცედურა:

1. მასწავლებელი აჩვენებს მოწაფეებს ცარიელი თაროების სურათებს და ეკითხება, სად შეიძლება თაროების ნახვა. მოწაფეების სავარაუდო პასუხები: სამზარეულო, სასტუმრო ოთახი, საწოლი ოთახი, აბაზანა, გარაჟი, საწყობი, სკოლა, ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახი, სხვადასხვა სახის მაღაზიები, როგორიცაა სათამაშოების, ტკბილეულობის, ხილის, სასმელების, მებაღეობის და ა.შ.
2. მასწავლებელი ეკითხება მოწაფეებს, რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს თაროები.

მასწავლებელი სთხოვს მოწაფეებს ჯგუფებში გარკვეულ თემასთან (სათამაშოების მაღაზია) დაკავშირებული სიტყვების ჩამოთვლას (15-18 ნივთი), შემდეგ გადიან დაფასთან და წერენ მაგალითებს.

3. მასწავლებელი ჰყოფს კლასს წყვილებად და აძლევს მოწაფეებს ცარიელ ფურცლებს.

მოწაფეები დაფიდან ირჩევენ, საიდუმლოდ, 6 ლექსიკურ ერთეულს, მაგალითად, სათამაშოს ან საკვებს და ხატავენ თაროებზე. შემდეგ ერთმანეთს ეკითხებიან აქვთ თუ არა იგივე ან განსხვავებული ნივთი თაროებზე.

4. ნახატები გამოიფინება საკლასო ოთახის კედლებზე.
5. აქტივობის ბოლოს უნდა გამოვლინდეს ის წყვილი, რომელსაც ყველაზე მეტი განსხვავება აქვს.

კომენტარი: ამ აქტივობის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მოწაფე თავად გახდეს სასწავლო მასალის შემქმნელი. ამგვარად, მითი იმის შესახებ, რომ მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოწაფეები მასალით, იმსხვრევა. მოწაფეები მეტად არიან ჩართული აქტივობაში, მათ ხელში გადადის მთელი ის პასუხისმგებლობა, რაც ტრადიციულად მხოლოდ მასწავლებელს ეკუთვნის.

აქტივობა 2. მიღწევის სურათი
დონე: ნებისმიერი
ასაკი: 6-11
ორგანიზაცია: ინდივიდუალური
მიზნები: საშუალებას აძლევს მოწაფეებს, შეიმუშაონ ინგლისურის ცოდნის შეფასების კრიტერიუმები და საკუთარი ცოდნის ვიზუალურად წარმოდგენის მოტივი მისცეს.
ენობრივი ფოკუსი: სტრუქტურა, თემა, სამეტყველო ფუნქცია

სასწავლო გეგმიდან გამომდინარე თემებთან დაკავშირებული ლექსიკა, მაგალითად, საკვები: კალათა, პური, ხილის წვენი, ხილი, ყველი, ა.შ.

გრამატიკა, მაგალითად: Present continuous

სამეტყველო ფუნქციები: მაგალითად, Would you like some fruit?

თხოვნა: Could you pass the salt. Please?
მასალა: სურათი, მაგალითად: პიკნიკის კალათა სხვადასხვა კვების პროდუქტებით
მომზადება: სურათზე მუშაობის სამი ვარიანტი

1. მასწავლებელი თითოეულ მოწაფეს აძლევს თემატურ სურათს, მაგალითად, ოჯახის პიკნიკი (სამუშაო ფურცელი A). მოწაფეები აფერადებენ იმ საგნების გამომხატველ სურათებს, რომლებიც აითვისეს, ან ხატავენ თვითონ.
2. სამუშაო ფურცლები B და C. C გვიჩვენებს მხოლოდ ზოგად კონტურებს. B გვიჩვენებს იმ სიტყვების გამომხატველ სურათებს, რომლებსაც სწავლობენ. მასწავლებელი ან მოწაფეები გამოჭრიან სურათებს და შეინახავენ კონვერტებში, რომელთაც მოწაფეების სახელები აქვს მიკრული ან დაუჭრელი სამუშაო ფურცელი B შეიძლება შეინახოთ თითოეული ბავშვის პროტფოლიოში. როცა მოწაფეებს დასჭირდებათ მათი გამოყენება, ამოიღებენ კონვერტიდან. მათ აგრეთვე შეიძლება დაუმატონ სხვა სურათებიც.
3. მოწაფეებმა შეიძლება დახატონ სურათები, ნაცვლად იმისა, რომ გამოიყენონ მზა სურათები.

პროცედურა:

1. პარაგრაფის დასაწყისში აჩვენეთ მოწაფეებს სურათი და აუხსენით, როგორ უნდა გამოიყენონ, უთხარით, რომ ისინი მიაწებებენ, გააფერადებენ ან დახატავენ საგნებს სურათზე, როცა რაიმე ახალს ისწავლიან.

აუხსენით, რომ თითოეული პარაგრაფის დასრულებისას, მოწაფეებმა უნდა გადაწყვიტონ, კმაყოფილი არიან თუ არა თავიანთი მუშაობით და შეისწავლეს თუ არა ენობრივი მასალა.

2. დაურიგეთ სამუშაო ფურცლები. მათ შეიძლება დაიწყონ გაფერადება
3. მოწაფეები თავიანთ სამუშაო ფურცლებს ინახავენ პორტფოლიოში
4. როცა მოწაფეები მიზანს მიაღწევენ, მაგალითად, ისწავლიან ფერებს, მასწავლებელი გახსნის მათ კონვერტს და აძლევს ილუსტრაციას, მაგალითად, ცისარტყელას. მოწაფემ უნდა მიაწებოს სურათზე ან თვითონ გამოჭრას, ან დახატოს.

უფრო სწრაფი და მოტივირებული შემსწავლელებისთვის, მასწავლებელს შეუძლია სხვა კომპონენტების დამატება სურათისთვის, თუკი მოწაფეებმა შეითვისეს უფრო მეტი ახალი სიტყვა. ბავშვებს, რომლებმაც ათი-თორმეტი ცხოველის სახელი ისწავლეს, მიეცემათ სამი ან ოთხი მისაწებებლად, ხოლო მათ, ვინც მხოლოდ სამი ან ოთხი სიტყვა ისწავლა – მხოლოდ ერთი სურათი. ამ გზით თითოეული მოწაფე ქმნის საკუთარ უნიკალურ სურათს და ყველაზე სუსტი მოწაფეებიც კი წარმოადგენენ შევსებულ სურათს.

მასწავლებელი კომენტარს აკეთებს სურათზე, როცა მოწაფეები ახალ ერთეულებს უმატებენ სურათს.

კომენტარი

ეს აქტივობა ეხმარება მოწაფეებს, თვალყური ადევნონ იმას, თუ რა ისწავლეს პარაგრაფის განმავლობაში. ეს წარმოადგენს შემოქმედებითად განხორციელებულ თვითშეფასებას. თითოეულ ბავშვს აქვს თემატური სურათის ზოგადი კონტური, რომელსაც ნელ-ნელა ავსებს იმ სიტყვების გამომხატველი სურათებით, რომლებიც ისწავლა. ამ გზით კარგად ჩანს მოწაფის მიერ მიღწეული წარმატება.

აქტივობა 3. დიქტოგლოსი
დონე: საშუალოზე დაბალი+
ასაკი: 12+
ორგანიზაცია: ინდივიდუალური, წყვილები, მთელი კლასი
მიზნები: მოსმენის უნარ-ჩვევის განვითარება, თანატოლთა შეფასება, თანამშრომლობითი უნარ-ჩვევის განვითარება
ენობრივი ფოკუსი: ნებისმიერ თემასთან დაკავშირებული ლექსიკა, გრამატიკა
მასალა: ცარიელი ფურცლები, ტექსტი კარნახისთვის, დაფა, ცარცი/მარკერები

პროცედურა:

1. მასწავლებელი კარნახობს მოწაფეებს მცირე ზომის ტექსტს. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს ერთხელ.
2. მოწაფეები ცდილობენ აღიდგინონ, რაც დაამახსოვრდათ ამჯერად და დაწერონ ტექსტი.
3. მასწავლებელი კითხულობს ტექსტს მეორედ. მოწაფეები წყვილდებიან და ერთად აღადგენენ.
4. მასწავლებელი უკითხავს მესამედ. ამჯერად მოწაფეები მეტ ინფორმაციას ავსებენ.
5. ერთ-ერთი მოხალისე გამოდის დაფასთან. იგი კლასის მდივანია. კლასი მას კარნახობს ტექსტს. მასწავლებელი საკლასო ოთახის ბოლოს მიდის და არ ერევა გასწორებაში. ჯგუფი ცდილობს სხვადასხვა ვარიანტის შეთავაზებას და სწორი ვარიანტის გამოვლენას. მოწაფეები მუშაობენ მასწავლებლისგან დამოუკიდებლად.
6. ბოლოს ერთ-ერთი მოწაფე ნელი ტემპით კითხულობს ნაწყვეტს სახელმძღვანელოდან, რომ მდივანმა შეძლოს გასწორება.

კომენტარი: ამ მეთოდის უპირატესობა არის ის, რომ მოწაფეები მუშაობენ ბეჯითად და მასწავლებლისგან დამოუკიდებლად. რასაკვირველია, ეს აქტივობა ზოგიერთი მოწაფისთვის შეიძლება რთული და დამაბნეველი აღმოჩნდეს, რადგან, ერთი მხრივ, მოწაფეებისგან სერიოზულ კონცენტრაციას მოითხოვს და მეორეც, ისინი მოელიან, რომ მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს სწორი ვარიანტი და შესწორება მხოლოდ მასწავლებლის პრეროგატივაა.

აქტივობა 4. სურათები და სიტყვები
დონე: დამწყები/ელემენტარული /საშუალო
ასაკი: 12+
ორგანიზაცია: ჯგუფები, მთელი კლასი
მიზნები: დამახსოვრების ტექნიკების განვითარება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევის განვითარება
ენობრივი ფოკუსი: ლექსიკის გამეორება
მასალა: თითო სურათი თითოეული ჯგუფისთვის
მომზადება: მასწავლებელი შეარჩევს 2 სურათს. თითოეული გამოხატავს რაღაც განსხვავებულს (ადამიანებს, საგნებს). მაგალითად, ერთ-ერთ სურათზე ასახულია ოჯახი, რომელიც სახლიდან გამოდის, ხოლო მეორე სურათზე- კაცი, რომელიც წვიმაში დგას.

პროცედურა:

1. მასწავლებელი ჰყოფს კლასს A და B ჯგუფებად და ურიგებს მათ სურათებს. A ჯგუფს აძლევს პირველ სურათს, B ჯგუფს – მეორე სურათს და სთხოვს, დაწერონ შესაბამის სურათთან დაკავშირებული, რაც შეიძლება მეტი, სიტყვა. მოწაფეებს 5 წუთი ეძლევათ, რომ 10-15 სიტყვა დაწერონ.
2. ჯგუფები ახლა გაცვლიან ფოტოებს. ისინი შეეცდებიან, რომ ის სიტყვები, რაც წინა სურათთან დაკავშირებით ჩამოწერეს, გამოიყენონ ახალ სურათთან დასაკავშირებლად. ახლა მათ შეუძლიათ გამოიყენონ ასოციაციები.

კომენტარი: მასწავლებელი მოწაფეებს უხსნის, რომ ეს ტექნიკა მათ შეიძლება გამოიყენონ ძნელი სიტყვების დასამახსოვრებლად. მაგალითად, მათ შეიძლება ჩამოწერონ სიტყვები, რომელთაც ძნელად იმახსოვრებენ და შეეცადონ თითოეული სიტყვა დაუკავშირონ სურათს (გონებაში წარმოსახულს ან რეალურს). ასოციაციები სიტყვების დამახსოვრების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა.

ალტერნატიული აქტივობა: მასწავლებელმა შეიძლება იგივე სიტყვები გამოიყენოს სიტყვათა ტიპებზე სავარჯიშოდ. მასწავლებელი სთხოვს მოწაფეებს, გადაწერონ სიტყვები ისე, რომ დააჯგუფონ არსებითი სახელები და ზედსართავები. მასწავლებელმა ასევე შეიძლება გამოიყენოს შემდეგი დავალება – სთხოვოს მოწაფეებს დაუბრუნდნენ სურათებს და დაადგინონ, რომელი სურათისთვის უფრო მეტი ზმნა მოიფიქრეს და განმარტონ, რატომ.

დასასრულ, შეიძლება შევაჯამოთ, რომ სწავლის სწავლა აუცილებელი უნარ-ჩვევაა, რადგან მისი დახმარებით მოწაფე მეტ ავტონომიურობას იძენს, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი:

- პასუხისმგებელია საკუთარ სწავლაზე;
- ირჩევს მიზნის მიღწევის საშუალებებს;
- თავად აგებს პასუხს შედეგზე.

ავტონომია და პასუხისმგებლობა – ორივე მოითხოვს მოწაფის მხრიდან აქტიურობას და ეს ორი ცნება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. მაგრამ ავტონომიის მიღწევა ერთბაშად არ ხდება. საჭიროა მასწავლებლის მხრიდან დახმარება და ამ დახმარების ხარისხი განსაკუთრებით მაღალია სწავლის დაწყებით ეტაპზე. მას შემდეგ, რაც მოწაფეების თვითრწმენა გაიზრდება, მასწავლებლის როლი თანდათანობით მცირდება. სამაგიეროდ იზრდება მოწაფის როლი, რაც ასე აუცილებელია მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის უნარ-ჩვევების შეძენისათვის.

სასკოლო აქტივობა

ნამდვილი დღესასწაული

რუსთავის 23-ე საჯარო სკოლაში უკვე ტრადიციად იქცა იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო ღონისძიებების მაღალორგანიზებულ და მაღალესთეტიკურ დონეზე ჩატარება, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ არა მხოლოდ დაწყებითი კლასების პედაგოგები და მოსწავლეები, არამედ მთელი სკოლა.

სულ ცოტა ხნის წინ, დაწყებითი კლასების პედაგოგებმა – **რუსუდან ნოდიამ, თინა გოგიამ, ნათელა ჭინჭარაშვილმა, თინათინ ბოჭორიშვილმა** – თავიანთ სადამრიგებლო კლასებში, იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიისა და მისი შემოქმედებით-პედაგოგიური ნაღვაწის შესწავლის მიზნით, ბევრი რამ წააკითხეს, გააცნეს, დაათვალიერებინეს, აუხსნეს პატარებს. საგანგებოდ ჩატარებულ საჩვენებელ გაკვეთილებზე კი მოსწავლეებთან პარტნიორული ურთიერთობებით ნამდვილი დღესასწაული უჩვენეს სტუმრებს – ქალაქის სხვადასხვა სკოლებიდან მოწვეულ პედაგოგებს, იაკობ გოგებაშვილის რესპუბლიკური პედაგოგიური საზოგადოების ხელმძღვანელებს და მოსწავლეთა მშობლებს.

ცეკვა, სიმღერა, დეკლამაცია, ზღაპრის გმირების გაცოცხლება, თეატრალური სცენები იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებებიდან, უამრავი თვალსაჩინოება, ბავშვების ნახატები, რებუსები, აფორიზმები, თავსატეხი კითხვები და პასუხები – მიზნად ისახავდა ეროვნული ცნობიერების ამაღლებას და მოსწავლეების ერთურთთან გაჯიბრებას, ვინ უფრო ღრმად და საინტერესოდ ჩასნდა სასიქადულო მამულიშვილის ცხოვრების საზრისს და ქართველი ერის წინაშე მის დიდ დამსახურებას.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო საგაკვეთილო თემატური ეპიზოდები: „მე ვინ ვიქნები“, „როგორ მოვეფეროთ საქართველოს“, „ი. გოგებაშვილის მოთხრობების გმირები“ და სხვ.

ოთხივე პირველი კლასის – I^{ა}, I^{ბ}, I^{გ}, I^{დ} – მოსწავლეებმა გამოავლინეს ცოდნა არა მხოლოდ ცოდნისათვის, არამედ გონებრივი და სულიერი მზადყოფნა პედაგოგთა პედაგოგის კლასიკური მემკვიდრეობის შესწავლის მიმართ.

პედაგოგმა ნათელა ჭინჭარაშვილმა, ამ ინტეგრირებულ გაკვეთილზე, მონაწილეობა მიაღებინა თავისი ყოფილი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებს, ამჟამად მე-9 კლასელებს – **ხატია სორდიას** და **ნათია ბიტაროვას**, აგრეთვე მეხუთეკლასელებს – **ქეთევან ნატროშვილს** და **ნათია ხვედელიძეს**.

ი. გოგებაშვილის საიუბილეო დღეებისადმი სპეციალურად მომზადებული მაღალორგანიზებული და საინტერესო გაკვეთილები ჩაატარეს პედაგოგებმა: **ხათუნა ჭაჭუკიშვილმა** და **ხათუნა შეყელაძემ**. ღონისძიების გაგრძელებად იქცა ვიქტორინა-კონკურსი „როგორ ვსწავლობთ გოგებაშვილს“, რომელიც ბიბლიოთეკაში ჩატარდა მაღალპროფესიონალი ბიბლიოგრაფის, **მადონა ჩხაიძის** უშუალო ინიციატივით. დაწყებითი კლასების მოსწავლეებმა უამრავი წიგნი მოიძიეს სკოლის მდიდარ ბიბლიოთეკაში იაკობ გოგებაშვილის სრულყოფილად გასაცნობად.

სასკოლო ღონისძიებამ, მოგვიანებით, თბილისში, „დედა ენის“ ძეგლთან გადაინაცვლა, სადაც პედაგოგმა ნათელა ჭინჭარაშვილმა, მოსწავლეებთან ერთად, მინი-სპექტაკლი მოაწყო და თანაც ისეთი, რომ უცხოელ გამვლელ-გამომვლელთა ყურადღება მიიქცია.

ამ სკოლაში დაწყებითი კლასების პედაგოგები გამორჩეულნი არიან, მათი მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება, ხალისი და ენერგია მშობლებსაც გადაედება, ყველა აშკარად გრძნობს, რა საიმედო პიროვნებების ხელთაა ჩვენი შვილების აღზრდა-განათლება.

ღონისძიება დადებითად შეაფასეს და პედაგოგებს მადლობა გადაუხადეს საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა საზოგადოების თავმჯდომარემ **გარი ჩაფიძემ** და მისმა მოადგილეებმა – **ლეილა გეგეშიძემ** და **ნათია ალექსიძემ**.

შემაჯამებელი სიტყვით სტუმრებსა და მასპინძლებს სკოლის დირექტორმა, პროფესორმა **ლელა ახალაიამ** მიმართა. მან მადლობა გადაუხადა პედაგოგებსა და მოსწავლეებს სამეცნიერო და საგანმანათლებლო მოთხოვნათა დონეზე გაკვეთილების ჩატარებისათვის და, თავად ფილოლოგმა, განსაკუთრებული მოწონება გამოთქვა პირველკლასელთა მხრიდან ლექსიკური მარაგის ათვისებაზე, დახვეწილ ფრაზეოლოგიურ მეტყველებაზე და სწორად აზროვნებაზე.

იაკობ გოგებაშვილი და მისი მემკვიდრეობა კვლავაც აქტიური შესწავლის თემა იქნება ამ სკოლაში.

ლია მარტაშვილი

„ერთიანობა მრავალფეროვნებაში“

28 ნოემბერს ამ სულისკვეთებით ჩატარდა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოდის საჯარო სკოლაში.

ყველაფერი კი თბილისის მასწავლებელთა სახლიდან დაიწყო, სადაც 2014 წლის 30-31 მაისს ჩატარდა სემინარი „მასწავლებელი – მეგზური ევროპისაკენ“. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან 70 პედაგოგი ვმონაწილეობდით სემინარის მუშაობაში. მოვისმინეთ საინტერესო თემები: „საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის მნიშვნელობა და პერსპექტივები“, „ჩვენი ევროპული არჩევანი, ნატო-საქართველოს თანამშრომლობა“, „ევროპული ღირებულებები – კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა“ და სხვ. გარდა ამისა თითოეულმა მონაწილე პედაგოგმა მდიდარი მეთოდური მასალა მივიღეთ, რომელმაც საშუალება მოგვცა ჩვენი ქვეყნისთვის ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე ადგილობრივ თემში გვესაუბრა.

ზოდის საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა, ისტორიის მასწავლებლის, **ნონა ყაველაშვილის** ხელმძღვანელობით და მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური მონაწილეობით, მოამზადეს საინფორმაციო ბუკლეტი – „საქართველო ევროკავშირის ასოცირების შესახებ, შეთანხმების გზამკვლევი“ და ადგილობრივ თემში გაავრცელეს. მეზობელი საკრებულოს სოფელ წირქვალის თემში შემავალი წირქვალის, ხალიფაურის, ხვაშითის საჯარო სკოლების ჩართულობით მომზადდა კონფერენცია, სადაც მოსწავლეებმა წარმოადგინეს საინტერესო თემები კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით: „ევროკავშირის ისტორია“ – მე-11კლასის მოსწავლე **რატი ჯაჯანიძე**, „ევროკავშირის წევრი ქვეყნები“ – მე-12 კლასის მოსწავლე **ლანა ბოჭორიშვილი**, „ევროკავშირის როლი გლობალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში“ – მე-12 კლასის მოსწავლე **ქეთი ბოჭორიშვილი**. „განათლების სისტემის ანალიზი ევროკავშირის ქვეყნებში“ – მე-12 კლასის მოსწავლე **თამარ სხირტლაძე**. ძალიან საინტერესო იყო ხალიფაურის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლის, **გიორგი მჭედლიშვილის** და ზოდის საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებისა და მათი ხელმძღვანელის – გეოგრაფიის მასწავლებლის, **მარინე დეკანოიძის** მიერ მომზადებული პრეზენტაცია თემაზე: „ჩემი სოფლის ეკოლოგიური პრობლემები და ევროკავშირი“. მოსწავლეებს კარგად ჰქონდათ დანახული პრობლემები, რომელსაც მანგანუმის ღია კარიერული წესით მოპოვება უქმნის მათ სოფელს და ანალიზი, როგორ გადაიჭრება ეს საკითხი, თუ ჩვენი ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდება.

კონფერენციის მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩართული მოსწავლეთა მშობლები, სოფლის საკრებულოს წევრები და ჭიათურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

ნონა ყაველაშვილი
სოფელ ზოდის საჯარო სკოლის დირექტორი, ისტორიის მასწავლებელი

სასკოლო აქტივობა

მოგზაურობა ხელოვნების სამყაროში

თბილისის №47 საჯარო სკოლაში (დირექტორი – **ირმა ხუციშვილი**), დირექციის და ესთეტიკური აღზრდის კათედრის (ხელმძღვანელი – **ნინო ალექსიძე**) ორგანიზატორობით, განხორციელდა პროექტი: „მოგზაურობა ხელოვნების სამყაროში“, VI კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით. პროექტის ფარგლებში, გაიმართა ინტეგრირებული გაკვეთილები, მოსწავლეთა ნახატების გამოფენა-კონკურსი და დასკვნითი ღონისძიება.

ინტეგრირებული გაკვეთილები ჩატარდა საგნებში:

VI[1] და VI[4] კლასები: ხელოვნება და ქართული ლიტერატურა (პედაგოგები: ნინო ალექსიძე, **ხათუნა თორდინავა**), VI[2] კლასი: ხელოვნება და ბუნება (პედაგოგები: ნინო ალექსიძე, **ირმა გაგნიძე**), VI[1] კლასი: ხელოვნება და რუსული ლიტერატურა (პედაგოგები: ნინო ალექსიძე, **ნანა ჟღენტი**). დასკვნით ღონისძიებაზე მოსწავლეებმა სლაიდ-შოუს თანხლებით წარადგინეს ფრაგმენტები საპრეზენტაციო თემებიდან: საინტერესო ფაქტები ხელოვნების ისტორიიდან და დიდ შემოქმედთა ცხოვრებიდან. დასკვნით ღონისძიებაზე გაიმართა მოსწავლეთა ურთიერთშეფასება. უფროსკლასელებისგან შემდგარმა ჟიურიმ სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით შეაფასა VI კლასის მოსწავლეები.

X[1] კლასის ჟიურის თავმჯდომარემ, **ნუცა ციხელაშვილმა**, ნომინაციით – „გამართული მეტყველება და მხატვრული კითხვა“ – სიგელი გადასცა **კესო გოძიაშვილს**. X[2] კლასის ჟიურის თავმჯდომარემ, **ანი კეკელიამ**, ნომინაციით – „აუდიტორიასთან საუკეთესო კონტაქტი“ სიგელი გადასცა **ელენე გოგოძეს**.

X[3] კლასის ჟიურის თავმჯდომარემ **ელენე ჯუღელმა** კრიტერიუმით – „ფაქტობრივი სიზუსტის დაცვა და მასალის ცოდნა“ – დაამჯილდოვა **ნინო ბუკია**.

მოსწავლეთა ნახატების კონკურსში გაიმარჯვეს: **ლეილა ჩერქეზიშვილმა**, **ანა გვაგვალიამ** და **გიორგი ცაგურიშვილმა**. მოსწავლეთა ურთიერთშეფასებას და ნახატების გამოფენას ორგანიზება გაუწია ხელოვნების პედაგოგმა, **თინათინ გაბოძემ**. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმეს **ნინო** და **ეფემია ბუკიებმა**, **ელენე გოგოძემ**. მათ ვიოლინოზე შეასრულეს გია ყანჩელის, რევაზ ლაღიძის და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

ღონისძიება ჩატარდა ხელოვნებისადმი სიყვარულით გამსჭვალულ და გულთბილ ატმოსფეროში. პროექტი „მოგზაურობა ხელოვნების სამყაროში“ დადებითად შეაფასა სკოლის დირექტორმა **ირმა ხუციშვილმა**. მან სიგელები გადასცა და მომავალი წარმატებები უსურვა პროექტის ყველა მონაწილეს.

მარიკა ბენიძე

გივი ჭიჭინაძის შემოქმედებითი საღამო

5 დეკემბერს, თბილისის 26-ე საჯარო სკოლაში, ჩატარდა ცნობილი საბავშვო პოეტის, გივი ჭიჭინაძის, შემოქმედებითი საღამო. მოსწავლეებმა შესანიშნავი კომპოზიცია წარმოადგინეს. ჩანდა, რომ პედაგოგს, **გულნაზი გელაშვილს** ბევრი უმუშავია ბავშვებთან. ისინი დახვეწილი ქართულით და საუკეთესო დეკლამატორული გემოვნებით გამოირჩეოდნენ.

ცნობილია, რომ ბატონი გივი არა მარტო საბავშვო ლექსებით კვებავდა ქართულ პოეზიას, „სადიდო ლექსებითაც“ გამოირჩეოდა. სწორედ ასეთი პოეზიის ნიმუშები წაიკითხეს საღამოზე სკოლის პედაგოგებმა: **მედეა ჯაიანმა, მანანა კაპანაძემ, ნინო თოფურიამ, ხათუნა ჩიკვაიძემ.**

საღამოს ესწრებოდნენ მონვეული სტუმრები, ბატონი გივის უახლოესი მეგობრები – საქართველოს სახალხო არტისტი, ათეული წლების განმავლობაში საქართველოს რადიოს დიქტორი, ქალბატონი **თინა ელბაქიძე**, საბავშვო მწერალი **თინა ჭეჟია**, ცნობილი ლიტერატორი და პოეტი **ლალი გულისაშვილი**, ჩვენი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ყოფილი პედაგოგი **გულიკო ჩხაიძე**.

შთამბეჭდავი იყო ქალბატონი თინა ელბაქიძის მიერ ძველი, გაყვითლებული ფურცლიდან წაკითხული წერილი და ლექსი, რომელიც პოეტს 55 წლის წინ მიუწერია მეგობრისათვის; თბილი იუმორით იყო გაჯერებული ქალბატონი თინა ჭეჟიას მიერ წაკითხული კაფიის ნიმუშები, რომელიც მასა და ბატონ გივის შორის გამართულა წარსულში; პოეტი ლალი გულისაშვილი კი საკუთარი ლექსებით მიესიყვარულა პოეზიის მოყვარულ ბავშვებს. ქალბატონმა გულიკო ჩხაიძემ მაღალ დონეზე შეაფასა ღონისძიება და დიდი სიყვარულით გაიხსენა ჩვენს სკოლაში გატარებული წლები.

გარდა ლიტერატურული ნაწილისა, საღამო იმითაც იყო სასიამოვნო, რომ მოსწავლეები მაღალ დონეზე ასრულებდნენ გივი ჭიჭინაძის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს. მათთან ერთად სიამოვნებით მღეროდა მუსიკის მასწავლებელი **ელზა გარაყანიძე**.

სცენა, დარბაზი და ინტერიერი გაფორმებული იყო მოსწავლეთა მიერ შესრულებული გრაფიკული და ფერწერული ტილოებით, რაც უდავოდ სახვითი ხელოვნების პედაგოგის, ქალბატონი **ქეთევან თედორაძის** დიდი დამსახურებაა.

ამაღელვებელ განწყობას ქმნიდა ეკრანიდან თავად პოეტის მიერ წაკითხული ლექსები. ანდერძივით გაიჟღერა მის მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა: *„ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს და ერთმანეთში უნდა ვეძებოთ მხოლოდ კარგი“*. ტექნიკური მხარის მოწესრიგებაში თავისი წვლილი შეიტანა საინფორმაციო ტექნოლოგიების მასწავლებელმა, ქალბატონმა **ხათუნა ჩიკვაიძემ**.

საღამომ თბილ ვითარებაში ჩაიარა. დამსწრეთა ამაღლებულ განწყობას საკუთარი ემოციები შეუერთა სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ბაია გაბაიძემ.** მან დამსახურებულად შეაქო მოსწავლეებისა და მათი ხელმძღვანელების გაწეული მუშაობა და მომავალშიც თანადგომა აღუთქვა ასეთი ღონისძიების მოწყობის საქმეში.

მედეა ჯაიანი
26-ე საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი

ინფორმაცია

იაპონიასთან უპრეცედენტო თანამშრომლობა იწყება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური ვიზიტით იაპონიის მაღალი ენერგიების ამაჩქარებლის კვლევითი ორგანიზაციის „KEK"-ის გენერალური დირექტორი **აცუტო სუზუკი** და პროფესორი **სატოში მიჰარა** ეწვივნენ. ვიზიტის მიზანია ახალი ერთობლივი პროექტებისა და ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების კონკრეტული მიმართულებების განხილვა.

იაპონელ სტუმრებთან სამუშაო შეხვედრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართა და აქვე ხელი მოეწერა მაღალი ენერგიის ფიზიკისა და ტექნოლოგიების სფეროში უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებთან დაკავშირებულ თანამშრომლობის მემორანდუმს.

მემორანდუმი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების საერთაშორისო ცენტრ – საქართველოსა და მაღალი ენერგიების ამაჩქარებლის კვლევით ორგანიზაცია KEK-ს (იაპონია) შორის გაფორმდა.

მემორანდუმის ფარგლებში, მხარეები მზად არიან დააფუძნონ, გააძლიერონ და განავითარონ საერთაშორისო თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროცესში და მოამზადონ მაღალი დონის სპეციალისტები ფიზიკაში, ნაწილაკებისა და ბირთვულ ფიზიკაში, ფიზიკურ ინჟინერიასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებში. დაეხმარონ ქართველ ახალგაზრდა სპეციალისტებს KEK-ში კვალიფიკაციის ამაღლებაში, რათა ქართველი ფიზიკოსები და ინჟინრები უფრო ფართოდ ჩაერთონ გლობალურ, მსოფლიო საგანმანათლებლო და კვლევით პროექტებში.

იაპონიის მაღალი ენერგოდამაჩქარებლის სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაცია (KEK) ქართველი სტუდენტებისთვის სწავლის შესაძლებლობებს უზრუნველყოფს და მათ რეალურ ექსპერიმენტებში მონაწილეობის საშუალებას მისცემს.

KEK-ის პროექტებში ჩართვით, საქართველოს და KEK-ის თანამშრომლების ზედამხედველობით, ქართული მხარე მხოლოდ სტუდენტების მგზავრობის ხარჯებს დაფარავს, სხვა ხარჯები (ცხოვრება, სწავლა, პრაქტიკა, კვლევა) კი დაფინანსებული იქნება იაპონური მხარის მიერ.

საქართველოში პირველად „ტრენერთა სკოლა" ამოქმედდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში „ტრენერთა სკოლა" იწყებს ფუნქციონირებას. პროექტი 2015 წლის იანვრიდან ამოქმედდება და ყველა დაინტერესებულ პირს საშუალებას მისცემს, სრულფასოვანი კურსი გაიაროს და გარკვეული მიმართულების პროფესიონალ ტრენერად ჩამოყალიბდეს.

„ტრენერთა სკოლის" პროგრამის ფარგლებში, ორდღიანი კონფერენცია გაიმართა, რომლის მიზანი იყო ეფექტური ტრენინგის სტანდარტის გაცნობა, წარმატებული გამოცდილების გაზიარება და დამკვიდრება. კონფერენციას, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაურმა** გახსნა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის, აშშ საელჩოს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო და საჯარო სტრუქტურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კონფერენცია შემდეგ თემატიკას მოიცავდა:

– ზრდასრულთა სწავლების სპეციფიკა;
– ტრენერის უნიკალური სტილი, თვითბრენდინგი;
– რთული შინაარსის მარტივად გადაცემა;
– ემოციური ინტელექტი;
– კვლევის როლი ტრენინგის პროცესში;
– მოდულის მომზადება მაგალითზე დაფუძნებით.

„ტრენერთა სკოლა" მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამაა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირებს, შეისწავლონ ტრენინგის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის აუცილებელი უნარები, შეაფასონ არსებული უნარ-ჩვევები და დაგეგმონ ინდივიდუალური სწავლების/განვითარების გზები, ასევე, კოლეგებისა და მენტორების გამოცდილების გაზიარებით დახვეწონ არსებული უნარ-ჩვევები.

„ლეონარდო და ვინჩი 2014" გამარჯვებულები გამოვლინდნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ**, მინისტრის მოადგილემ **ლია გიგაურმა** და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა **მარინე ჩიტაშვილმა** ნორჩ გამომგონებელთა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი 2014" გამარჯვებული ინოვაციური პროექტების ავტორები დააჯილდოვეს.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, **გრანპრი** გადაეცა **თემურ ჩიჩუას, ალექსანდრე თოიძეს** და **ნიკოლოზ მინაშვილს** გამოგონებისთვის – „კარბონის ორფენა კომპოზიტი", გამარჯვებულები შემეცნებითი ტურით საზღვარგარეთ გაემგზავრებიან. **I ადგილისა** და 5 000 ლარის მფლობელები გახდნენ **ვახტანგ დონაძე და ირაკლი ჩხეიძე** პროექტით – „გონიერი მაღვიძარა"; **II ადგილი** და 3 000 ლარი – **ირაკლი კაპანაძე და კარლო ხუციშვილი** პროექტით – „მულტიკლიმატიზატორი"; **III ადგილი** და 2 000 ლარი **ნიკა ალავიძე** პროექტით – „მაღალი წნევის მილების ავარიის ლიკვიდაციის მექანიზმი".

კონკურსის გამარჯვებული ოთხივე პროექტის ავტორები, გაზაფხულზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრებიან, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში უდიდესი კონკურსის – ინტელის საერთაშორისო-საინჟინრო გამოფენაში – Intel ISEF.

ფავორიტი პროექტები გამოავლინეს საქპატენტმა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ. საქპატენტის თავმჯდომარემ **ნიკოლოზ გოგილიძემ**, პროექტისთვის „მძინარე პოლიციელი", **რეზო კაპანაძეს** მობილური ტელეფონი გადასცა. საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარემ **ირაკლი ქაშიბაძემ**, პროექტისთვის „SAFE RIDE", **გიორგი ზეიკიძე, დათო გურგენაძე** და **შოთა ქათამაძე** საერთაშორისო ინოვაციების გამოფენაზე გამგზავრებით, ხოლო პროექტის „ბიოგაზის" ავტორები **ნიკა სვანიძე** და **ვანო შარია** დანადგარის პროტოტიპის დამზადების დაფინანსებით დააჯილდოვა.

გამოფენის ყველაზე პატარა მონაწილეებს – **ნოდარ აბულაძეს, ლუკა გველესიანსა** და **გიგა დოგუზოვს** – მთაწმინდის პარკმა ატრაქციონებით მომსახურების ბარათები გადასცა.

კონკურსის ფარგლებში შერჩეული საუკეთესო პროექტების გამოფენა ექსპოჯორჯიას საგამოფენო პავილიონში გაიმართა,

სადაც ინოვაციური ნამუშევრების ავტორებმა დამთვალიერებელს საკუთარი გამოგონების პრეზენტაციები წარუდგინეს. გამოფენის ყველა მონაწილეს დიპლომები გადაეცა.

კონკურსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით, 2011 წლიდან, იმართება და მისი მიზანია მოსწავლეებში სწავლის დონის ამაღლება, ინოვაციებისა და ტექნიკური პროგრესის მიმართ მოზარდების ინტერესის გაღვივება, გამომგონებლის ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების გამოვლენა, შემოქმედებითი აზროვნებისა და, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით, მათთვის სტიმულის მიცემა.

კახეთის რეგიონში განხორციელებული საგანმანათლებლო პროექტები

პროექტის „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისათვის" ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაურმა** კახეთის რეგიონში სამინისტროს მიერ საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურული მიმართულებით განხორციელებული პროექტების შესახებ პრეზენტაცია გაკეთდა. პრეზენტაციას ჟურნალისტებთან, არასამთავრობო სექტორისა და საჯარო სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, მხარის გუბერნატორი **ირაკლი შიოლაშვილი** ესწრებოდა.

განათლება სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. შემუშავდა ახალი სტრატეგია, სადაც აქცენტი გაკეთებულია განათლების ხარისხზე, ხელმისაწვდომობასა და ინსტიტუციური განვითარებისა და დაფინანსების ზრდაზე. შემუშავდა სოციალურად ორიენტირებული პროგრამები. მიმდინარეობს სასწავლო გეგმის რევიზია და განვითარება, მუშავდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა. მხოლოდ კახეთის რეგიონში საგნობრივი ტრენინგი, 2013 წელს, 2493 მასწავლებელმა გაიარა, ხოლო 2014 წელს – 1062 მასწავლებელმა. ინტერნეტითა და კომპიუტერით უზრუნველყოფილია ყველა საჯარო სკოლა, ბუკები გადაეცათ პირველკლასელებს, კომპიუტერები – პირველკლასელთა დამრიგებლებს. უშუალოდ კახეთის რეგიონში, ბიბლიოთეკების პროგრამის ფარგლებში, 12 საჯარო სკოლა აღიჭურვა. უსაფრთხო და ჯანსაღი სკოლის კონცეფციის ფარგლებში, დაინერგა შემდეგი სერვისები:

– მანდატურები – 33 სკოლა;
– სამედიცინო კაბინეტი – 9 სკოლა;
– პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსი – 50 სკოლა;
– რეგიონის ფსიქოლოგიური ცენტრი – თელავი.

ზოგადი განათლება ხელმისაწვდომია ყველასათვის. კახეთის რეგიონში საჯარო სკოლების 44014 მოსწავლე და კერძო სკოლების 143 მოსწავლე სარგებლობს უფასო სახელმძღვანელოებით, 90 სკოლის 4 532 მოსწავლეს ემსახურება უფასო სასკოლო ტრანსპორტი. ინკლუზიურ განათლებაში ჩართულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 353 მოსწავლე და 50 სპეციალური მასწავლებელი.

ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, ბოლო ორი წლის განმავლობაში, რეაბილიტირდა 99 საჯარო სკოლა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „აისი" თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახელოსნოების მოწყობა, ხელოვნების სასახლისა და ლამბალოს საჯარო სკოლის მშენებლობა (პროექტის ღირებულება – 4,300, 000 ლარი). ასევე დაგეგმილია 3 პროფესიული სასწავლებლის – კაჭრეთის 2 ფილიალი (ალვანი და დედოფლისწყარო) და თელავის – რეაბილიტაცია და სახელოსნოების მოწყობა.

მოსწავლეთა წახალისებისა და მოტივაციის მიზნით, სასკოლო ინიციატივების პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა – 4 საჯარო სკოლა (4449,6 ლარი). ბოლო ორი წლის განმავლობაში, კახეთის რეგიონის 251 წარჩინებულ მოსწავლეს გადაეცა ოქროს მედალი, ხოლო 200 მოსწავლეს – ვერცხლის. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით, 25 სამოქალაქო კლუბი შეიქმნა.

ზურაბ ჟვანიას სახელობის ადმინისტრირების სკოლაში, კახეთის რეგიონიდან, 75 საჯარო მოხელე გადამზადდა. სკოლის მიზანია სახელმწიფო ენის სწავლება საჯარო სექტორში დასაქმებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის.

თბილისის სკოლები აქციაში „გაამწვანე საქართველო" ჩაერთნენ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიერ დაფუძნებული ფონდის „გაამწვანე საქართველო" ორგანიზებით, თბილისის 175-ე და 131-ე სკოლების ტერიტორიაზე, მოსწავლეებმა ფიჭვის ხეები დარგეს. გამწვანების აქციაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, ფონდის „გაამწვანე საქართველო" გამგეობის თავმჯდომარე **გიორგი სვანიძე**, განათლების სამინისტროსა და საპატრიარქოს წამომადგენლები მონაწილეობდნენ.

ფონდის დირექტორის განცხადებით, უკვე დარგულია ათასობით ხე, გრძელდება როგორც დედაქალაქის ურბანული სივრცის, ისე ქვეყნის რეგიონებში გამწვანებითი სამუშაოები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აქციის მხარდამჭერია და მომავალში აქტიურად გააგრძელებს ფონდთან თანამშრომლობას.

ინფორმაცია

კოლეჯი „მერმისი“ უცხოურ დელეგაციას მასპინძლობს

ტორინოს პროცესის რეგიონული კონფერენციის ფარგლებში, საზოგადოებრივ კოლეჯს „მერმისი“ აღმოსავლეთ პარტნიორობის 5 ქვეყნის (უკრაინის, მოლდოვის, ბელარუსის, აზერბაიჯანის, სომხეთის) და ევროკომისიის, განათლების ევროპული ფონდის (ETF) წარმომადგენლები ესტუმრნენ. უცხოურ დელეგაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტის პირველმა მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილმა** და საზოგადოებრივმა კოლეჯმა უმასპინძლეს.

პროფესიული განათლებით დაინტერესებულ დელეგატებს შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ საქართველოში მოქმედ პროფესიული განათლების სისტემას, კოლეჯი „მერმისის“ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებას, პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესში სხვადასხვა მიმართულებით დამზადებულ ნამუშევრებს, საწარმოო პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან პარტნიორობის სპეციფიკას და ა.შ. ვიზიტის დროს, სტუმრები გაესაუბრნენ სტუდენტებს, კოლეჯის ადმინისტრაციასა და პროფესიულ მასწავლებლებს. ერთმანეთს გაუზიარეს მათ ქვეყანაში მიმდინარე პროფესიული განათლების სისტემის თავისებურებები და არსებული გამოწვევები.

დელეგატები განსაკუთრებით დაინტერესდნენ სწავლების პროცესში შექმნილი დეკორატიულ გამოყენებითი ქსოვილების მრავალფეროვნებით, რომლის საშუალებით საზოგადოებრივი კოლეჯის „მერმისი“ პროფესიული სტუდენტები ქართული ტრადიციული ხალხური რეწვის ნიმუშებს ამუშავებენ.

კამპანია „არა ძალადობას!“

შინაგან საქმეთა სამინისტროს კამპანიის „არა ძალადობას!“ ფარგლებში, საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, კონფერენცია გაიმართა თემაზე – „რელიგიები ძალადობის წინააღმდეგ!“. კონფერენციას ქვეყანაში მოქმედი 10 რელიგიური კონფესიის, საქართველოს ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ღონისძიების ინიციატორი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და ქვეყანაში მოქმედი რელიგიური კონფესიები იყვნენ. ვინაიდან სულიერებას და რწმენას ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ინტერრელიგიური ჯგუფის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, საერთო პრობლემის დასაძლევად, განხორციელდეს ერთობლივი ქმედებები.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა, ძალადობის წინააღმდეგ სხვადასხვა სოციალური ფენისა და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენელთა გაერთიანება, საერთო ძალისხმევა და ცოდნის დონის ამაღლება, განსაკუთრებით მოზარდებში, იმ სავალალო შედეგებზე, რასაც ადამიანთა მიმართ ძალადობა იწვევს.

მშობლები

ადრეული განვითარების 5 საფრთხე, ანუ რატომ არის სკოლამდელ ასაკში თამაში სწავლაზე მნიშვნელოვანი

მშობლებს უფრო და უფრო იტაცებთ პატარა ბავშვების სწავლება, სასკოლოდ მომზადება, პარალელურად კი, იზრდება იმ ბავშვების რაოდენობა, რომლებიც ჰიპერრეაქტიულები არიან, უჭირთ ერთ ადგილზე ჯდომა, ყურადღების კონცენტრირება და შემდეგ სკოლაში „ზარმაცის“ იარლიყი მიეწებებათ ხოლმე. არსებობს თუ არა რაიმე კავშირი ამ ორ მოვლენას შორის? მოდი, გავეცნოთ ფსიქოლოგთა აზრს.

ბავშვის ფსიქიკური და ინტელექტუალური განვითარების დონე მისი თამაშის უნარის განვითარების დონით განისაზღვრება. სულ ცოტა, შვიდ წლამდე თამაში ბავშვის ძირითადი აქტივობაა. მართალია, თამაშის სურვილი ბავშვს გარდატეხის ასაკამდე გაჰყვება, მაგრამ ის, სულ ცოტა, შვიდ წლამდე დომინანტური უნდა იყოს. სწორედ თამაშის დროს ითვისებს ბავშვი მორალურ პრინციპებს, თამაშის დროს ყალიბდება მისი წარმოდგენა სამყაროზე, ურთიერთობა თანატოლებთან. ერთი შეხედვით, ამ მხრივ პრობლემა არ არსებობს, არც ერთი მშობელი არ ართმევს პატარა ბავშვს თამაშის შესაძლებლობას, მაგრამ მოდი დავფიქრდეთ: არის თუ არა თამაში თანამედროვე პატარა ბავშვების მთავარი აქტივობა? თამაში ცივილიზაციის საწყისია. მრავალი მკვლევარი აღიარებს, რომ განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ საზოგადოებებში პატარა ბავშვებს მეტისმეტად ადრე რთავენ უფროსების შრომით საქმიანობაში. საზოგადოებრივი ურთიერთობების შემეცნება ხდება უფროსების ქმედებების იმიტაციით და ოჯახის სხვა წევრების საქმიანობაში თანდათანობითი ჩართვით. სამწუხაროდ, თანამედროვე სამყაროში თამაშის პოზიცია შესუსტდა – ის აღარ არის პატარა ბავშვების უმთავრესი საქმიანობა. ეს ცვლილება სულაც არ არის განპირობებული თანამედროვე ბავშვების ფსიქოლოგიური განსხვავებით; უბრალოდ, აქტიურ თამაშს თანდათან ჩაენაცვლება პასიური, რაშიც ბრალი მიუძღვით ულტრათანამედროვე მულტიმედიურ საშუალებებს და ადრეულ სწავლას. უფრო და უფრო ვრცელდება მცდარი აზრი, რომ ბავშვის განვითარება მხოლოდ მისთვის რამის სწავლებაა და არა თამაშის ხელშეწყობა.

რითია ცუდი ადრეული განვითარება?

რას გვიქადის თამაშის სწავლით ჩანაცვლება, რასაც ახლა ადრეულ განვითარებას უწოდებენ? დაახლოებით 5-6 წლამდე ყველა ბავშვისთვის დომინანტურია თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო. სწორედ ის განაგებს შემოქმედებით ნიჭს, ფანტაზიას, ხატოვან აზროვნებას, ემოციებს. ის საკმაოდ სწრაფად მოქმედებს. როცა ნაადრევად ვიწყებთ პატარა ბავშვის განსწავლას, ჩვენ ვარღვევთ თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს ბუნებრივ განვითარებას. ამ დანაკლისის კომპენსაცია მოზრდილ ასაკში შეუძლებელია. თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო პასუხს აგებს ლოგიკურ აზროვნებაზე, ვერბალურ სფეროზე, სიტყვებით (ასოებით, ციფრებით, სქემებით და ა. შ.) ოპერირებაზე. მას შედარებით ნელი მოქმედება ახასიათებს. სწავლების მეტისმეტად მცირე ასაკში დაწყებით მშობლები ასტიმულირებენ თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს ნაადრევ განვითარებას, რაც მარჯვენა, შემოქმედებითი ნახევრის დაზიანების ხარჯზე ხდება. სკოლამდელ ასაკში ყველა ბავშვში სწორედ ხატოვანი აზროვნება დომინირებს, ბავშვს მხოლოდ თვალსაჩინოდ შეუძლია იაზროვნოს. რა ხდება, როცა უფროსები ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობაში ერევიან? როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო მართავს ემოციურ სფეროს. თუ მას სათანადო ყურადღება არ დაეთმო, ბავშვის ემოციები და გრძნობები მწირი ხდება, შეგრძნებები და განცდები ღარიბდება, ან პრიმიტიულად გამოიხატება, ან საერთოდ ქრება. უკანასკნელი შემთხვევა ყველაზე მოკლე გზაა რთულ ნერვულ დაავადებებამდე. ადრეულ სწავლებას მივყავართ აგრესიამდე, ყურადღების დეფიციტის სინდრომამდე, იმპულსურობამდე, დაუმორჩილებლობამდე. ეს ყველაფერი ემოციური სფეროს განუვითარებლობის შედეგია. როგორც ითქვა, მარცხენა (ლოგიკური) ნახევარსფერო ნელა მოქმედებს. ამასთან, ვერბალური სფერო სკოლამდელ ასაკში დომინანტური არ არის. სწავლებისას უფროსები გამუდმებით აჩქარებენ ბავშვს – მოითხოვენ, სწრაფად დაიმახსოვროს, სწრაფად უპასუხოს შეკითხვებს, სწრაფად ოპერირებდეს ნიშნებით. ამ დროს გრძელი გზა, რომელსაც საკუთარი აზროვნებითი ოპერაციების გამოყენებით უნდა გადიოდეს ბავშვი, მოკლდება და მექანიკურ დამახსოვრებამდე და ინფორმაციის გაცემამდე დადის.

სხვა საფრთხეები

ადრეული სწავლების თანმხლები კიდევ ერთი საფრთხე ის არის, რომ მშობლებს მოუწევთ ბავშვის კონტროლირება მაშინაც კი, როცა მასწავლებლების როლში თავად არ არიან. ეს იმას გამოიწვევს, რომ ბავშვის ფსიქიკის ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელ მშობლის უპირობო სიყვარულს მისი მოლოდინის გამართლებაზე რეაქცია შეცვლის. მშობლები უსაყვედურებენ ან შეაქებენ პატარას სწავლაში მიღწეული წარმატებებისთვის, შეაფასებენ როგორც ზრდასრულ პიროვნებას, მისი მიღწევების შესაბამისად. ბავშვი, რომელიც ვერ შეასრულებს მშობლების მოთხოვნას (წაიკითხოს, დაითვალოს და ა. შ.), თავს უარყოფილად, მშობლებისთვის არასასურველად მიიჩნევს. ჩვენთვის, უფროსებისთვის, დომინანტური საქმიანობაა შრომა. ამ დროს ჩვენ შედეგზე ვართ ორიენტირებულნი – მოუთმენლად ველით ჩვენი შრომის ნაყოფს. ზოგიერთი სწორედ ასე აფასებს პატარა ბავშვის შრომასაც – ისინი შედეგს ელიან. თამაში კი პროცესია, რომელიც სულაც არ არის ორიენტირებული შედეგზე. სწორედ პროცესია მნიშვნელოვანი ბავშვის განვითარებისთვის და არა მისი შედეგი (მაგალითად, კოშკის სიმაღლე). როცა უფროსები ხელოვნურად ახდენენ ბავშვის ორიენტირებას ქმედებების შედეგზე, ისინი აბრკოლებენ მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ გარდაქმნებს, რომლებიც მხოლოდ სკოლამდელ ასაკში და მხოლოდ თამაშისას ხდება. თამაში სპონტანურია, სტიქიური. ის არ მოითხოვს სპეციალურ პირობებს. ამისგან განსხვავებით, სასწავლო აქტივობას ყოველთვის აქვს მოტივაცია. სწორედ მოტივაციის არსებობის შემთხვევაშია სასწავლო ქმედებები ეფექტური. ახალი ცოდნის შეძენა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა მოსწავლე ამ პროცესის სუბიექტი ხდება. ეს ბუნებრივიცაა – ძალით რამის სწავლება ხომ შეუძლებელია. სკოლამდელ ასაკში კი ასეთი მოტივაცია არ არსებობს. ამის მიზეზი პატარა ბავშვის ფსიქიკის თავისებურებაა. როგორც ვხედავთ, სკოლამდელი ასაკის პატარების სასწავლო მოღვაწეობას არ გააჩნია მოტივაცია, პროცესი არ არის გამყარებული დადებითი შემეცნებითი ემოციებით. შემდგომ ამან შესაძლოა თვითგანათლების სურვილის დათრგუნვამდე მიგვიყვანოს – ბავშვი სწავლობს ნიშნისთვის, დედის გასახარებლად, ჯილდოსთვის... ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ის დამოუკიდებელი აღმოჩენებით გამოწვეულ სიხარულს ვეღარ განიცდის.

ჩვენ და მათემატიკა

მათემატიკური მოქმედებები საკმაოდ აბსტრაქტულია, ამიტომ პატარა ბავშვებს მათ იშვიათად ასწავლიან. ზოგიერთ ბავშვს ძალიან უჭირს არა მარტო ციფრების დასახელება, არამედ სურათზე მათი პოვნაც. მათ ხშირად ერევათ ერთმანეთში მსგავსი ციფრები – ექვსი და ცხრა, ერთი და შვიდი, სამი და რვა. ეს პატარა ბავშვის აღქმისა და მეხსიერების თავისებურების ბრალია – ის, უპირველეს ყოვლისა, აღიქვამს და იმახსოვრებს იმას, რაც კონკრეტულია, რაც შეიძლება არა მარტო დავინახოთ და გავიგონოთ, არამედ ხელში ავიღოთ, ვუსუნოთ, გავლოკოთ... ამიტომ რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო მეტი გამომგონებლობა და ფანტაზია სჭირდება პედაგოგს. მათემატიკის ჯადოსნურ სამყაროში პატარა ბავშვის მიპატიჟება სწორედ თამაშით უნდა მოხდეს.

პირველი ნაბიჯი

პატარა ბავშვი დაბადებისთანავე მათემატიკის გარემოცვაშია – თამაშ-თამაშით ვითვლით მის თითებს, „ერთი-ორის“ თანხლებით ვავარჯიშებთ, ვყიდულობთ ფერადი რგოლებისგან შემდგარ პირამიდას, სხვადასხვა ზომისა და ფერის კუბებს. ასე ისმენს პატარა ციფრებს და ეხება გეომეტრიულ ფიგურებს, ეცნობა მათ თვისებებს, ადარებს ერთმანეთს და შედარებითი ანალიზის „შესავალ კურსს“ გადის.

ლოგიკის საფუძვლები

მათემატიკის საფუძვლების შესწავლა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. „დამწყებ მათემატიკოსებს“ შეიძლება შემდეგი თამაშები შევთავაზოთ:

დახარისხება

ერთმანეთში აურიეთ რამდენიმე სხვადასხვა ფერის საგანი და პატარა ბავშვს შესთავაზეთ, ერთი და იმავე ფერის ნივთები იპოვოს.

უფრო დიდ ბავშვს შეიძლება ვთხოვოთ, ერთი და იმავე ფერის საგნები იმავე ფერის პარკში ჩააწყოს ან რამდენიმე ფერის საგნებიდან ერთი სახისა შეარჩიოს.

ბავშვს სთხოვეთ, ერთად დაალაგოს წინდები, მაისურები, პერანგები. შეიძლება, ამოცანა გავართულოთ – დედის, მამისა და და-ძმის ტანსაცმლის ერთმანეთისგან გაცალკევება დავავალოთ. ამ დავალების შესრულება ბავშვს წესრიგსაც აჩვევს და შესანიშნავადაც ავარჯიშებს! თავდაპირველად პატარა ბავშვმა უნდა გაარჩიოს ტანსაცმლის ფორმა, ზომა, შეადაროს ისინი ერთმანეთს, იპოვოს საერთო ნიშნები. ეს ყველაფერი, ფერების განსხვავებასთან ერთად, ბავშვს სამყაროში ორიენტაციას, უფროსების დავალებათა გაგებასა და საკუთარი სურვილების გასაგებად გამოხატვას ასწავლის.

მარიკა დვალი

mkurnali.ge

კილაძის ორმაგი წარმატება



ნოემბერი წარმატებული გამოდგა 14 წლის ქუთაისელი ტყვიის მსროლელის – **ლიზი კილაძისთვის**, რომელმაც თბილისში, **ნინო სალუქვაძის** ტირში გამართულ ორ ტურნირში ისროლა წარმატებით. იქ ჯერ შოთა ქველიაშვილის სახელობის თასის ღია გათამაშება გაიმართა, მერე კი თბილისის თასის ღია გათამაშება. ორივე შეჯიბრებაში აზერბაიჯანის ნაკრებიც გამოვიდა, ტურნირები კი მხოლოდ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში გაიმართა, რადგან სპორტულისთვის საჭირო ფართის სასროლეთი ქვეყანაში არ გვაქვს. ეგ კი არა, პნევმატურშიც არაა შესაფერისი ტირი, რადგან ზემოაღნიშნულში ხუთი ფარის მეტი ფიზიკურად ვერ ეტევა და მონაწილეებს სასროლად რიგში უწევთ დგომა. თან არაა ელექტროფარები, ამ მიზეზების გამო ტურნირი ისევ ძველი წესებით ჩაატარეს.

პირველი ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა – უფროსებსა და ახალგაზრდებში. დიდებში თუ მედლების უმეტესობა სტუმრებმა მოიპოვეს, სამაგიეროდ, ჩვენმა ახალგაზრდებმა აშკარად დაჩაგრეს ისინი – გოგონებსა და ბიჭებში მხოლოდ ერთი ვერცხლი დაუთმეს მათ. გოგონებში დამაჯერებლად გაიმარჯვა ლიზი კილაძემ. მართალია, მან ამჯერად პირადი რეკორდი – 384 ქულა – ვერ გაიმეორა, მაგრამ არც ურიგოდ გამოსულა – 376 ქულით გაიმარჯვა. მეორეზე აზერბაიჯანელი **ნარიფა აბასლი** გავიდა 372-ით, მესამე კი სალუქვაძის ტირის წევრი **მარიამ მაღრაძე** იყო 371-ით.

ბიჭებში სამივე მედალი ქართველებმა მოიპოვეს. ჩემპიონი ნინო სალუქვაძის შვილი **ცოტნე მაჭავარიანი** გახდა - 570 ქულა დააგროვა, რაც მისთვის საკმაოდ კარგი შედეგია. რაც მთავარია, აუმჯობესებს მაჩვენებელს. ასკ-ს წევრმა **ვლადიმერ მაიოროვმა** 565 ქულა მოინადავლა და ვერცხლი მოიპოვა, სალუქვაძის ტირის კიდევ ერთმა წევრმა **აკაკი მოსულიშვილმა** კი 562-ით ბრინჯაო ირგუნა. ამ შედეგით მანაც მიიქცია ყურადღება. საქმე ისაა, რომ 14 წლისაა და 2 წელიწადიც არაა, რაც სროლაში ვარჯიშობს, ტურნირზე კი საერთოდ პირველად ისროლა. თან ასეთ შედეგს ვარჯიშებზეც ვერ აჩვენებდა.

მეორე შეჯიბრებაში უკვე ასაკობრივი დაყოფა აღარ ყოფილა და იქ ახალგაზრდები ტიტულოვან მსროლელებს გაეჯიბრნენ. ეს უფრო კილაძეზე ითქმის, რადგან ვაჟებში ცნობილი მონაწილე არავინ ყოფილა, ქალებში კი სალუქვაძის გარდა, აზერბაიჯანელთა ოლიმპიური პრიზიორი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ირადა აშუმოვაც** გამოდიოდა. ასეთ კომპანიაში კილაძეს თავი არ შეურცხვენია და ვერცხლის მედალი მოიპოვა. მან ისევ იგივე შედეგი გაიმეორა – 376 ქულა და მხოლოდ სალუქვაძეს ჩამორჩა, აშუმოვა კი უკან ჩამოიტოვა და ბრინჯაოს დააჯერა.

ტურნირზე კიდევ ერთი აღსანიშნავი ფაქტი მოხდა, რაც ისევ ქუთაისს უკავშირდება – რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ სპორტს დაუბრუნდა **ნინო ფანჩულიძე**, ვინც სტუდენტობისა და სპორტის შეთავსება ვერ შეძლო და მთლიანად სწავლაზე გადაერთო, ახლა კი მონატრებამ სძლია. იმედია, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობა ამჯერად ხელს არ შეუშლის და სამიზნეს არ გაუმრუდებს

კიბორძალიძის მემორიალზე

5 დეკემბერს, ქუთაისის სპორტის სასახლემ, აწ გარდაცვლილი სახელოვანი ვეტერანის, ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ აკაკი კიბორძალიძის მემორიალს უმასპინძლა, რომელიც წლეულს მეცამეტედ ჩატარდა. ესაა გუნდური შეჯიბრება, რომელიც ჭაბუკთა შორის ტარდება. ამჯერად მასში 1999-2000 წლებში დაბადებულები მონაწილეობდნენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან: იმერეთი, შიდა ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, თბილისი – სულ 8 გუნდი.

შეჯიბრების ფორმატი ზუსტად იგივეა, როგორც უფროსთა ანალოგიურ გუნდურ შეჯიბრებაში, ანუ ყველა გუნდში 5-5 წონითი კატეგორიაა. გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთს მასპინძელი ქუთაისისა და გორის ნაკრებები დაუპირისპირდნენ. შეხვედრა დაძაბული გამოდგა და გამარჯვებული მხოლოდ ბოლო, მეხუთე წონის ფალავანთა შერკინებამ გამოავლინა. ამ პაექრობაში ქუთაისელმა **ამირან წიქორიძემ ჯაბა ქარელიშვილს** აჯობა და თავის გუნდს ჩემპიონობა მოაპოვებინა – 3:2. ბრინჯაოს მედლებს თბილისისა და იმერეთის ნაკრებები დაეუფლნენ, რომელიც ძირითადად ქუთაისელი და ზესტაფონელი მოზარდებით იყო დაკომპლექტებული.

ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, გაისად, ამ მემორიალში უცხოური გუნდების მოწვევაც იგეგმება, რაც ძალიან კარგი იქნება ძიუდოს განვითარებისთვის როგორც იმერეთის რეგიონში, ასევე – მოზარდებისთვის, რადგან დამატებითი სატურნირო პრაქტიკის შანსი მიეცემათ. ასევე ძალიან წაადგება საკლუბო ძიუდოს განვითარებასაც.

თბილისის ჩემპიონები

გლდანში მდებარე ოლიმპიური მზადების ეროვნული ცენტრის დარბაზში ჩატარდა თბილისის პირველობა 2000-2002 წლებში დაბადებულთა შორის ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით ჭიდაობაში. ტურნირში 300-მდე მოზარდი გამოვიდა, სპეციალისტებმა კი რამდენიმე ახალი კადრიც მოინიშნეს, რომლებმაც კარგი ჭიდაობით დაამახსოვრეს თავი. თავისუფალ ჭიდაობაში ჩემპიონობა შემდეგმა ფალავნებმა იზეიმეს: **დავით ქობულაშვილმა** (26), **იგორ აფციაურმა** (29), **გიორგი გოგიჩაიშვილმა** (32), **ნუგზარ ბერიძემ** (35), **გიორგი აფხაზავამ** (38), **თორნიკე იობაძემ** (42), **ვლადიმერ კაკოშვილმა** (47), **ნიკა მათიაშვილმა** (53), **დავით ირემაძემ** (59), **ოთარ ესართიამ** (66), **როლანდ მინაშვილმა** (73) და **დავით ქოჩქიანმა** (+73). ბერძენ-რომაელებში კი ჩემპიონები გახდნენ: **გიორგი ბითაძე** (26), **ანრი გიორგაძე** (29), **საბა კიკაძე** (32), **ბექა ზაქაიძე** (35), **ნიკა ნოზაძე** (38), **ნოდარ ოქრომჭედლიშვილი** (42), **ნიკა შჩერბაკოვი** (47), **მალხაზ გელაძე** (53), **გიგი ჩოხელი** (59), **მიხეილ გაგოშიძე** (66), **საბა ბაღდავაძე** (73) და **ელგუჯა სილაგაძე** (+73).

თავისუფალ ჭიდაობაში ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავეებად კაკოშვილი და ესართია დასახელდნენ, ბერძნულ-რომაულში – კიკაძე და სილაგაძე.

მოსწავლეთა კლუბების ჩემპიონატი

თბილისში უკვე მეორედ ჩატარდა საქართველოს საკლუბო ჩემპიონატი ძიუდოში, რომელიც კვლავ მოზარდებში, 1997-98 წლებში დაბადებულთა შორის გაიმართა. ტურნირს ამჯერად მსოფლიოს ჩემპიონ **ავთანდილ ჭრიკიშვილის** სახელი მიენიჭა, საპრიზო ფონდი კი, შარშანდელთან შედარებით, გაორმაგდა და 14 ათას ლარს მიაღწია. საბედნიეროდ, კიდევ უფრო გაიზარდა მონაწილეთა რაოდენობა და უკვე 25 კლუბი მონაწილეობდა. თან საკმაოდ დიდი ნაწილი რეგიონებიდან იყო. მისასალმებელია, რომ ჩამოვიდნენ ზუგდიდისა და ბათუმის გუნდები – ამჯერად დასავლეთ საქართველოდან მხოლოდ ესენი იყვნენ, თუმცა იმედია, მომავალში მათ სხვებიც მიბაძავენ. ეს ხომ მოზარდებისთვის სატურნირო პრაქტიკის მიღების ჩინებული შანსია და აკი ჩატარებულ ორთაბრძოლებშიც კარგად გამოჩნდა, რამდენად მონატრებულნი ყოფილან შეჯიბრებებს. ტურნირმა საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაიარა და იქ ნანახი ჟინი, შემართება, თქვენ წარმოიდგინეთ – გამოვლენილი კლასიც კი, ნებისმიერი რანგის შეჯიბრებას დაამშვენებდა თვით უფროსებშიც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ პატარებმა მართლაც არ დაზოგეს თავი და ძალიან კარგი შეჯიბრება გამოდგა. ტურნირისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ ძიუდოს ცენტრებმა – „შევარდენმა“ და ძიუდოს აკადემიამ თბილისიდან, აგრეთვე გორმა რამდენიმე კლუბი გამოიყვანეს. ამ დარბაზებში მომუშავე მწვრთნელებმა თავისი შეგირდებით ცალ-ცალკე გუნდები ჩამოაყალიბეს. ამით თვით მწვრთნელების მუშაობაც ფასდება, ეს მათი მუშაობის ბარომეტრიცაა, რადგან დანარჩენები მთავარი მწვრთნელის ჩრდილში აღარ მოექცევიან.

მოლოდინისამებრ, კვარცხლბეკი ძირითადად თბილისელებმა შეავსეს, თუმცა ერთი ბრინჯაო რეგიონის – ახმეტის კლუბმაც მოიპოვა, რომელიც იქაური მწვრთნელის, **ზეზვა (ტარიელ) შათირიშვილის** დაარსებულია და მისსავე სახელს ატარებს. ტურნირი კი დაახლოებით შარშანდელი სცენარით წარიმართა და შარშანდელი ფინალი განმეორდა – ერთმანეთს თბილისური კლუბები – „შევარდენი-2005“ და აკადემიის „ლიდერი“ – შეხვდნენ. შედეგიც შარშანდელის მსგავსი აღმოჩნდა – ისევ „შევარდენმა“ იმარჯვა, თუმცა ამჯერად 4:1 მოიგო. მესამეზე ასევე თბილისური „ოლიმპი“ და ზემოხსენებული ახმეტური კლუბი გავიდნენ. გამარჯვებულთა ღირსებას **გიორგი ლიპარტელიანი** (60), **ბექა უდესიანი** (66), **გიგა გიგაური** (73), **გიორგი გოგოლიძე** (81), **გიორგი გველესიანი** და **მათე ბენდელიანი** (ორივე - +81) იცავდნენ, „ლიდერში“ კი **გელა გარაყანიძე** (60), **გაგა მახნიაშვილი** (66), **ლაშა დუდაშვილი** (73), **ნოდარ წამალაიძე** (81), **ზაურ კენჭაძე**, **ავთანდილ ტაბატაძე** (ორივე - +81) გამოდიოდნენ.

მედალოსანი გუნდები

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

თემატური პლაკატები
დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი
2.50 ლარი

თემატური პლაკატები
მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროშები
11. ზღვის დინებები
12. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი – ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა – დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი – გუსტავ კლიმტი
4. მენინები – დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა – მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი – კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება – რემბრანდტი
8. საძანელა – ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე – ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

ქართველი მწერლები

1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) I, II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
4. ედიშერ ჭიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი
7. ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი
9. ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
10. თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის
მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

ერთი ცალის ფასი
4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

წიგნის თარო მიმდინარეობს ხელმოწერა

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები"

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

- თეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი** ახალი
- მიგელ დელიბესი - **ორი რომანი** ახალი
- აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
- ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**



რა არის რა

თითო ტომის ფასი – 9 ლარი

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა



ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება",
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს„ლიბერთი ბანკი", ბ/კ LBRTGE22

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან **ინტელექტი სკოლას**

ფასი – 15 ლარი

გამომცემლობა „დიოგენე"

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი



თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

ქიმია

განახლებული

საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 8 ლარი

გეოგრაფია

განახლებული

საატესტატო გამოცდისთვის
ზ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 8 ლარი

ბიოლოგია

საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
ღ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაბალიშვილი
ფასი – 4 ლარი

ისტორია

საატესტატო გამოცდისთვის
ზ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

ფიზიკა

განახლებული

საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი – 8 ლარი

ისტორია

ეროვნული გამოცდისთვის
ზ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

მათემატიკა

ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

ბიოლოგია

ახალი

აბიტურიენტებისთვის
ლ. ბურდილაძე,
ნ. სიხარულიძე,
ქ. მაღრაძე,
ღ. ნაზირიშვილი
პირველი ნაწილი – 10 ლარი
მეორე ნაწილი – 10 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება" ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X

9 772233 386008 >

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

CMYK